



# ყოველდღიურობის პრობლემები

თემების უსაფრთხოების ტენდენციები შიდა ქართლში



ტაბიზ ჰუსეინოვი

მარტი, 2012 წელი

---

# ყოველდღიურობის პრობლემები

თემების უსაფრთხოების ტენდენციები შიდა ქართლში

ტაბიბ ჰუსეინოვი

---

## მადლობა

ტაბიბ ჰუსეინოვის მიერ მომზადებული წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ 2011 წლის დეკემბერში ჩატარებულ თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევის შედეგებს. კვლევა წარმოადგენს უსაფრთხო მსოფლიოს (Saferworld) რეგიონული პროგრამის ნაწილს, რომლის მიზანია კონფლიქტით დაზარალებული თემების საჭიროებათა უკეთ გაგება და მათზე რეაგირების გაუმჯობესება. უსაფრთხო მსოფლიოს საქმიანობა შიდა ქართლში მიმდინარეობს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტსა (CIPDD) და გორის საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით.

უსაფრთხო მსოფლიოს საქმიანობა შიდა ქართლში, მათ შორის, აღნიშნული კვლევა, დაფინანსებულია ევროკავშირის ნდობის აღდგენის ადრეული რეაგირების მექანიზმის (COBERM) ფარგლებში, რომელსაც გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ უსაფრთხო მსოფლიო. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ან გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციას. ქართულენოვანი ტექსტის რედაქტორია ზეინაბ სარაძე.

# სარჩევი

## მოკლე შინაარსი

თემები და მათი საჭიროებები

პირადი უსაფრთხოება და უსაფრთხოების დამცველთა როლი  
დაცვაულობის ზრდისა და ძალადობის ესკალაციის პოტენციური  
კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა

### 1 შესავალი

#### 2 თემები და მათი საჭიროებები

როგორ იცვლება სიტუაცია თემებში?  
რა არის თემების ყველაზე მწვავე საჭიროებები?

#### 3 პირადი უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების დამცველების როლის აღქმა

რამდენად უსაფრთხოდ გრძნობს მოსახლეობა თავს?  
როგორ აღიქვამს მოსახლეობა უსაფრთხოების დამცველებს?

#### 4 დაცვაულობის ზრდისა და ძალადობის განახლების პოტენციური

როგორია თემებში ძალადობის განახლების პოტენციური?  
რა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს დაცვაულობის ზრდა?  
რა ფაქტორები ახდენს გავლენას თემების მიერ შესაძლო  
რისკ-ფაქტორების შეფასებაზე?

#### 5 კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოტენციური


როგორ შეიძლება გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ თემებთან  
კონტაქტის ხასიათი და დონე?  
სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან ჩართულობის რა  
მექანიზმებს უჭერს მხარს მოსახლეობა?  
ამჟამად რომელი ღონისძიებაა მიზნული მოსახლეობის მიერ  
ყველაზე ეფექტიანად?

#### 6 დასკვნა

დანიარში: მეთოდოლოგია

## ბრაუზები

- გრაფიკი 1. როგორ აღწერდით სიტუაციას თქვენს თემში/სოფელში შარშანდელთან შედარებით?
- გრაფიკი 2. ადამიანების რაოდენობა თქვენს თემში გასულ წელთან შედარებით (სულ %)
- გრაფიკი 3. წინა წელთან შედარებით თქვენს თემში/სოფელში ნაკლები ადამიანი ცხოვრობს?
- გრაფიკი 4. რა ოდენობის თანხა დახარჯა თქვენმა ოჯახმა გასულ თვეს?
- გრაფიკი 5. როგორ შეიცვალა თქვენი პირადი უსაფრთხოების შეგრძნება ბოლო წლის განმავლობაში?
- გრაფიკი 6. რამდენჯერ მომხდარა სროლის ინციდენტი თქვენს თემში/სოფელში ბოლო წლის განმავლობაში?
- გრაფიკი 7. კავშირი დაკავების ინციდენტების რაოდენობასა და გამყოფი ხაზის ბუნდოვანებას შორის
- გრაფიკი 8. ვის ევალება თქვენი უსაფრთხოების დაცვა - ვინ არის თქვენი „მთავარი დამცველი“?
- გრაფიკი 9. უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობის ზოგადი აღქმა
- გრაფიკი 10. უსაფრთხოების დამცველების მიმართ დამოკიდებულების შედარება წითელუბან-ლამისყანის ჯგუფსა და დანარჩენ სამ ჯგუფს შორის
- გრაფიკი 11. წითელუბან-ლამისყანა: უსაფრთხოების დამცველების ეფექტიანობის აღქმა
- გრაფიკი 12. რამდენად დიდია თქვენს თემში სიტუაციის დაძაბვის საფრთხე?
- გრაფიკი 13. რომელ მოვლენებს შეუძლია დაძაბულობის ზრდის გამოწვევა/კონფლიქტის განახლება?
- გრაფიკი 14. თქვენი აზრით, რომელ მოვლენებს შეუძლია გაზარდოს დაძაბულობა/განაახლოს კონფლიქტი? რამდენად მოსალოდნელია, რომ ქვემოთ დასახელებული რომელიმე მოვლენა მოხდეს ამ წლის განმავლობაში?
- გრაფიკი 15. თემები ფლავისმან-ბერშუეთსა და წითელუბან-ლამისყანაში უფრო დამოკიდებულები არიან გამყოფი ხაზის მიღმა რესურსზე და ამიტომ უფრო მტკივნეულად განიცდიან ხაზის გადმოწევისას.
- გრაფიკი 16. ჩართულობის ზომების მხარდაჭერა
- გრაფიკი 17. ჩართულობის განსამტკიცებელი მექანიზმების ეფექტიანობის აღქმა



# მოკლე შინაარსი

წინამდებარე ანგარიში უსაფრთხო მსოფლიოსა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ განხორციელებულ რიგით მესამე კვლევას ეხება, რომელიც სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე ოთხ საკვლევ არეალში - ატოც-დირბი, ნიქოზ-მერეთი, ფლავისმან-ბერშუეთი, ნითელუბან-ლამისყანა - განხორციელდა (იხ. თანდართული რუკა). კვლევების მიზანია, თვალი მიადევნოს საკვლევ არეალებში მცხოვრები თემების უსაფრთხოებისა და დაუცველობის აღქმის ტენდენციათა განვითარებას დროის განმავლობაში. ანგარიში კი მიზნად ისახავს შეაფასოს ის ფაქტორები, რომლებიც, ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ძირს უთხრის უსაფრთხოებას და ამცირებს საარსებო საშუალებებს. სწორედ ამ შეფასებაზე დაყრდნობით, ანგარიშში შემოთავაზებულია დაუცველობის გამომწვევ მიზეზებზე რეაგირების ის გზები, რომლებიც მორგებულია ადგილობრივ კონტექსტზე. კვლევა იყენებს შერჩეულ არეალებში მცხოვრები ოჯახების გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების მეთოდოლოგიას.

კვლევის ჩატარება დაემთხვა იმ კრიტიკულ დროს, როდესაც თითქმის ამოიწურა კონფლიქტის შემდგომი საერთაშორისო დახმარება დაზარალებული თემებისთვის; ეს გარემოება საგრძნობად ამცირებს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების რესურსს თემების მზარდ პრობლემებზე რეაგირების კუთხით. ასე რომ, მეტად მნიშვნელოვანია უკეთ იქნეს გაგებული, როგორია ადგილობრივ დონეზე პრობლემები და შესაძლებლობები; ეს ხელს შეუწყობს ადრეული გაფრთხილების მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებას, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიც უკეთ შეძლებენ დახმარების სტრატეგიების მორგებას ადგილობრივ საჭიროებებზე.

## თემები და მათი საჭიროებები

კვლევა ადასტურებს, რომ გასულ წელთან შედარებით ზოგადად გაუმჯობესდა თემების ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცულობის აღქმა. თუმცა, გაუარესდა შემოსავლების მიღების შესაძლებლობები; ეს გამოწვეულია გამყოფი ხაზის გადასწვრივ მცხოვრებ თემებთან კონტაქტისა და სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობების შესაძლებლობის შემცირებით. რუსი მესაზღვრეების მიერ გამყოფ ხაზზე კონტროლის კონსოლიდაციის შედეგად<sup>1</sup> ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბევრ ადამიანს აღარ შეუძლია საკუთარი მიწის ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენოს, პირუტყვი გამოკვებოს და ზამთარში შეშა მოიპოვოს.

მიუხედავად ამასწინდელი დადებითი ტენდენციებისა, ატოც-დირბიში მცხოვრები რესპონდენტები ყველაზე უფრო გრძნობენ ფიზიკურ დაუცველობას, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს მოუწყობელი გზები, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული ბუნდოვანება და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შეზღუდული შესაძლებლობა. ნიქოზ-მერეთი წელსაც ინარჩუნებს განსხვავებულ დინამიკას, კვლავაც გრძელდება გაუკაცრიელება.

<sup>1</sup> ევროსაბჭოს კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ. 2011 წლის ოქტომბერი. <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1854497&Site=COE&BackColorInternet=DBDC2F&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864> (accessed March 14, 2012).

ამის მიზეზია, ერთი მხრივ, ფიზიკური საფრთხის განცდა, მეორე მხრივ კი - სარწყავ წყალზე ხელმიუწვდომლობა. **ფლავისმან-ბერშუეთში** მოსახლეობა სულ უფრო განიცდის კონფლიქტის ეკონომიკური ასპექტის სიმძიმეს, რაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა უშეშობის გამო. ამ მხარეში ნაკლებადაა ბუნებრივი აირი, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ენერგო-უზრუნველყოფის პრობლემას ზამთარში. **ნითელუბან-ლამისყანაშიც** იგრძნობა კონფლიქტის სოციალურ-ეკონომიკური მზარდი ზეგავლენა, განსაკუთრებით, ეს ეხება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან სარწყავი წყლის გამოშვებას. ისეთ ბუნებრივ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რომელთა გამოყენება ადგილობრივ მოსახლეობას წარსულში თავისუფლად შეეძლო, კიდევ უფრო ზრდის იმედგაცრუებას და პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი თემების სტაბილურ ცხოვრებას.

### თემების საჭიროებებზე რეაგირების რეკომენდაციები

- საჭიროა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემებისთვის ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - განსაკუთრებით, არსებობისთვის ისეთ აუცილებელ რესურსებზე, როგორებიცაა: ენერგია, სარწყავი წყალი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ამასთან, საჭიროა ყველა ზომა იქნეს მიღებული როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე ყველა შესაძლო მოლაპარაკების ფარგლებში.
- სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და საძოვრებზე ხელმისაწვდომობის მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს **ატოც-დირბსა** და **ფლავისმან-ბერშუეთს**, ხოლო, რაც შეეხება სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობას - **ნითელუბან-ლამისყანისა** და **ნიქოზ-მერეთის** ჯგუფებს.
- ყველა ორგანიზაციამ და სააგენტომ აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს ისეთი ალტერნატივები, როგორებიცაა, მაგალითად, მწვანე ენერგია; ეს გაზრდიდა კონფლიქტით დაზარალებული თემების რესურსებს.

### პირადი უსაფრთხოება და უსაფრთხოების დამცველთა როლი

მას მერე, რაც წინა კვლევა ჩატარდა, ფიზიკურ საფრთხესთან დაკავშირებულ რაიმე სერიოზულ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. ზოგადად, მეტი გამოკითხული გრძნობს თავს უფრო დაცულად. გამოკითხულები უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტებიდან ყველაზე ხშირად სროლას ასახელებენ, განსაკუთრებით, **ატოც-დირბსა** და **ნიქოზ-მერეთში**. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ, უმეტესად, ჰაერში ისვრიან ან სამხედრო წვრთნებისას. ამგვარი ინციდენტები უშუალოდ არ აზიანებს მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, ყველა რესპონდენტი **ატოც-დირბიდან** და **ნიქოზ-მერეთიდან**, რომლებმაც მიუთითეს, რომ სროლები ესმით, აღნიშნავს, რომ სროლის ფაქტები შიშსა და პანიკას თესავენ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კონფლიქტის ფსიქო-სოციალურ ზეგავლენას. პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია გამოიკვეთა - თითქმის გაორმაგდა დაკავების ფაქტები - თითქმის ყველა დაკავება **ატოც-დირბსა** და **ფლავისმან-ბერშუეთში** შემავალ თემებში მოხდა.

**ნითელუბან-ლამისყანის** ჯგუფის რესპონდენტები საკმაოდ დადებითად აფასებენ ზოგად სიტუაციას, თუმცა ყველაზე კრიტიკულად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და პოლიციის მიმართ არიან განწყობილები. ამ განწყობას განაპირობებს კონფლიქტის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელთაც, ადგილობრივი თემების აზრით, მთავრობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

### რეკომენდაციები უსაფრთხოების დამცველებისთვის ადგილობრივ საჭიროებებზე რეაგირების გასაუმჯობესებლად

- ყველა აქტორმა ერთად უნდა იმუშაოს, რათა გაანალიზონ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიზანმიმართული გადაკვეთის ძირეული მიზეზები და

ამით შეამცირონ დაკავების ფაქტები, განსაკუთრებით, **ატოც-დირბსა და ფლავისმან-ბერშუეთში**.

- საჭიროა გამტკიცდეს კომუნიკაცია და ურთიერთობა თემებსა და სამთავრობო სააგენტოებს შორის ყველა საკვლევ არეალში, განსაკუთრებით, **ნითელუბან-ლამისყანაში**. ეს მიდგომა საშუალებას მისცემს ხელისუფლებას, მეტი ინფორმაცია მიიღოს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებათა შესახებ და მათზე უკეთ მოახდინოს რეაგირება. მეორე მხრივ, ადგილობრივი თემებიც უკეთ შეიტყობენ მთავრობის მიერ მიღებული ზომების შესახებ.

### დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის ესკალაციის პოტენციალი

ზოგადად, გასულ წელთან შედარებით იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაძაბულობის ზრდა და ძალადობის ესკალაცია ძალიან ან საკმაოდ მოსალოდნელი იყო, განახევრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივების ცხოვრების მრავალი ასპექტი ნორმალისაა. ყველაზე დადებითად ეს ტენდენცია **ატოც-დირბის** ჯგუფში გამოვლინდა. **ნიქოზ-მერეთი**, მიუხედავად რისკის შესუსტებული აღქმისა, ერთადერთი ჯგუფია, სადაც რესპონდენტების ნახევარი ჯერ კიდევ მოელის დაძაბულობის ზრდას უახლოეს მომავალში.

უფრო მეტ გამოკითხულს სჯერა, რომ დაძაბულობის ზრდა შესაძლოა დაუკავშირდეს უფრო **სოციალურ-ეკონომიკურ** პრობლემებს, ვიდრე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინციდენტებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა **ფლავისმან-ბერშუეთსა და ნითელუბან-ლამისყანაში**, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მეტადაა დამოკიდებული გამყოფი ხაზის მიღმა არსებულ რესურსებზე, განსაკუთრებით კი - შეშაზე (ორივე ჯგუფში) და სარწყავ წყალზე (**ნითელუბან-ლამისყანაში**).

### რეკომენდაციები თემებში დაძაბულობისა და ძალადობის აღბათობის შესამცირებლად

- ყველა აქტიური კარგად უნდა აცნობიერებდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს კონფლიქტის განახლების შემთხვევაში ოთხივე არეალში. საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სარწყავი წყლის საკითხს **ნითელუბან-ლამისყანასა და ნიქოზ-მერეთის** ჯგუფებში და შეშის პრობლემას **ფლავისმან-ბერშუეთში**.
- საჭიროა ზომების მიღება კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეთ გამოწვეული ფსიქოლოგიური პრობლემების დასაძლევად, განსაკუთრებით, **ნიქოზ-მერეთში**. პრობლემების დაძლევაში, სხვათა შორის, იგულისხმება სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება ფსიქოლოგიური ტრამვებისა და პოსტტრამეული სტრესის სინდრომის გასანივრებლად.

### კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, კვლავაც ძალზე მცირეა ურთიერთობა სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსურ თემებთან. გამონაკლისს წარმოადგენს **ნითელუბან-ლამისყანა**, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ინარჩუნებს კონტაქტს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან. იძულებითი გაუცხოება არ გადასულა მტრულ დამოკიდებულებაში სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსურ თემებთან და ჩანს, რომ არსებობს სერიოზული პოტენციალი ამ თემებში რწმენისა და ნდობის აღსადგენად.

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემები მყარად უჭერენ მხარს იმ ზომების გატარების იდეას, რომელთა მიზანია გაზარდოს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები თემების ჩართულობის დონე. **ნითელუბან-ლამისყანაში** ყველაზე მეტად გამყოფი ხაზის მიღმა ოჯახის წევრებისა და მეგობრების მონახულებას უჭერენ მხარს. ამ ეთნიკურად შერეულ ადგილებში მოსახლეობას სურს ჰქონდეს უსაფრთხო კონტაქტის გარანტია



მეორე მხარეს მცხოვრებ ნათესავებთან. ჩართულობის ზომების მიმართ მხარდაჭერა **ნიქოზ-მერეთშიც** იგრძნობა, თუმცა გამოკითხვები ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენენ გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ თემებთან ურთიერთობის მიმართ. მთლიანობაში, მიუხედავად ამგვარი ზომების მიმართ ზოგადი მხარდაჭერისა, მოსახლეობას დიდად არ სჯერა ამ ზომების ეფექტიანობისა. მათი რწმენით, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაზე დამოკიდებული როგორც პრობლემების წარმოშობა, ისე მათი მოგვარება. თუმცა, როდესაც საუბარია ჩართულობის მექანიზმების ყველაზე ეფექტიანად მიჩნეულ სახეებზე, ნათელი ხდება, რომ გამოკითხვები უპირატესობას იმ ქმედით ზომებს ანიჭებენ, რომლებიც ადგილობრივ საჭიროებებს პასუხობს. ასეთად კი მოსახლეობა გამყოფი ხაზის მიღმა ვაჭრობისა და მგზავრობის შესაძლებლობას მიიჩნევს.

#### **რეკომენდაციები გამყოფი ხაზის გადასწვრივ ნდობისა და რწმენის განსამტკიცებლად**

- გამოსავლენია ის გზები და საშუალებები, რომლებიც საშუალებას მისცემს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას ერთმანეთში ივაჭრონ ადგილობრივად წარმოებული პროდუქტით.
- მოლაპარაკების ხელმისაწვდომი მექანიზმების ფარგლებში ხელი შეეწყოს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს ნათესავებისა და მეგობრების მონახულებას, განსაკუთრებით, **ნითელუბან-ლამისყანასა და ფლავისმან-ბერშუეთში**.

# შესავალი

**წინამდებარე ანგარიში** შიდა ქართლის რეგიონში სამხრეთ ოსეთთან/ ცხინვალის რეგიონთან (შემდგომში *სამხრეთ ოსეთი*) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის (შემდგომში *გამყოფი ხაზი* ან *ხაზი*) გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის მიერ საკუთარი უსაფრთხოებისა და დაცულობის აღქმის შეფასებას ეხება. გარდა ამისა, ანგარიშში წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა კონფლიქტის შესაძლო განახლებისა და შერბილების მექანიზმების შესახებ. რესპონდენტებმა უპასუხეს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა: სიტუაციის ცვლილების დინამიკა გასული წლის განმავლობაში; შესაძლო ტენდენციები; ინციდენტები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ ძალადობის განახლებას; გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები თემების შერიგებისთვის ეფექტიანი მექანიზმები.

ანგარიში მიზნად ისახავს შეაფასოს ის ფაქტორები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ძირს უთხრის უსაფრთხოებას და ამცირებს საარსებო საშუალებებს. სწორედ ამ შეფასებაზე დაყრდნობით, ანგარიშში შემოთავაზებულია დაუცველობის გამომწვევ მიზეზებზე რეაგირების ის გზები, რომლებიც მორგებულია ადგილობრივ კონტექსტზე. ანალიზი ეფუძნება 2011 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე ოთხ საკვლევ არეალში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თემების წარმომადგენლებთან ოთხი ფოკუს-ჯგუფის შედეგებს. პირველი და მეორე კვლევის ანალიზი უსაფრთხო მსოფლიომ 2010 წლის ოქტომბერსა და 2011 წლის მარტში გამოსცა<sup>2</sup>.

ანგარიშის მომზადება მეტად კრიტიკულ დროს დაემთხვა: 2011 წელს ამოიწურა დახმარების 4.5 მილიარდიანი პაკეტი, რომელიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების დახმარებას ისახავდა მიზნად. როგორც ეს წინა კვლევის ანგარიშშია ნათქვამი, პოსტკრიზისული დახმარების შემცირების ფონზე ადგილობრივი მოსახლეობა, სავარაუდოდ, უფრო მტკივნეულად შეიგრძნობს საკუთარ დაუცველობას.

მიუხედავად იმისა, რომ წინა კვლევის ჩატარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რაიმე სერიოზულ ინციდენტს, ხოლო უსაფრთხოების საერთო აღქმაც გაუმჯობესდა<sup>3</sup>, კონფლიქტის ხანგრძლივი მოქმედების შედეგი - გადაადგილებისა და მოძრაობის შეზღუდვა - უკიდურესად უარყოფით ზეგავლენას ახდენს შიდა ქართლში მცხოვრებ

2 მალტ ვიეფუსის და დევიდ ვუდი, *ცხოვრება გამყოფი ხაზის სიახლოვეს: შიდა ქართლის თემების უსაფრთხოება, უსაფრთხო მსოფლიო, ოქტომბერი 2010, და თამარ პატარაია და დევიდ ვუდი, დაუცველობა დაძლეულია? შიდა ქართლის თემების უსაფრთხოების კვლევა, უსაფრთხო მსოფლიო, მარტი 2011. <http://www.saferworld.org.uk/smartweb/resources/view-resource/585> და <http://www.saferworld.org.uk/smartweb/resources/view-resource/482> (accessed March 14, 2012).*

3 2011 წელს დაბეჭდილ საავტორო სტატიაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ანდჟეი ტიშკევიჩმა განაცხადა: „ექვთარეშეა, რომ უსაფრთხოების მხრივ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ“. თუმცა, მისივე განცხადებით, სიტუაცია „ხანდახან არაპროგნოზირებადია. ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი: უსაფრთხოება გაუმჯობესებულია“. *www.civil.ge, 2011 წლის 17 ოქტომბერი. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=24041>* (ბოლო ვიზიტი: მარტი 14, 2012).

თემებზე. ომის დასრულების შემდეგ, რუსეთმა მიიღო სისტემატური ზომები სამხრეთ ოსეთისა და შიდა ქართლის რეგიონის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასამაგრებლად<sup>4</sup>. ადამიანებს აკავებენ რუსეთისა და ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლების მიერ „სახელმწიფო საზღვრად“ მიჩნეული გამყოფი ხაზის გადაკვეთისთვის.

გარდა იმისა, რომ გამყოფი ხაზის გადასწვრივ კონტაქტები შეიზღუდა, მკაცრი რეგულირება აბრკოლებს ხაზის ახლოს მცხოვრებ თემებს, მოიპოვონ არსებობისთვის აუცილებელი რესურსები. გამყოფი ხაზი ხშირად სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ტყეებზე ან სულაც სოფლების განაპირა მხარეებზე გადის. ახლა, როდესაც თითქმის შეუძლებელია სამხრეთ ოსეთსა და შიდა ქართლის რეგიონს შორის გამყოფი ხაზის გადაკვეთა, ბევრ ადგილობრივ მოსახლეს საკუთარი მიწის გამოყენების საშუალება წაერთვა, რომელსაც მარცვლეულის, საძოვრების ან ზამთარში შემის მოსაპოვებლად იყენებდნენ. ხშირად ადგილობრივმა მოსახლეობამ არც კი იცის, ზუსტად სად გადის გამყოფი ხაზი, რადგან, ერთი მხრივ, ის დემარკირებული არ არის, მეორე მხრივ კი, არსებობს სადავო ადგილები, სადაც მხარეები ხშირად ცვლიან გამყოფი ხაზის მდებარეობას.

მიუხედავად საქართველოს მხრიდან შეთავაზებული ინიციატივებისა, აქტორებმა აქამდე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამშვიდობო მონიტორინგის შესახებ. 2009 წლის იანვარში საქართველო ცალმხრივად დათანხმდა „შეზღუდული შეიარაღების ზონის“ შემოღებაზე სამხრეთ ოსეთის (და აფხაზეთის) სიახლოვეს და ამით აიღო ვალდებულება არ განაღდოს ბატალიონზე მსხვილი შენაერთი გამყოფი ხაზიდან 15 კილომეტრის რადიუსში<sup>5</sup>. 2009 წლის ნოემბერში ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა, რომ არასდროს გამოყენებდა ძალას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად<sup>6</sup>.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში „კონფლიქტის განახლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაკავებელ ფაქტორად“ არის მოხსენებული<sup>7</sup>, მხოლოდ ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ახდენს პატრულირებას. გამონაკლის შემთხვევაში მისიას ნებას რთავენ, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს ინციდენტები გამოიძიოს. მისიის 200 შეიარაღებული მონიტორი ინციდენტებს მხოლოდ მათი მოხდენის შემდეგ აღწუსხავს ან, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება დაადასტუროს უსაფრთხოების ინციდენტებთან დაკავშირებული კონკრეტული ბრალდებები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (იგი ოთხმხრივი შეხვედრების სახელითაც არის ცნობილი), რომელიც ითვალისწინებს ცხელი ხაზის ფუნქციობასა და ორივე მხარის უსაფრთხოების დამცველების მონაწილეობით რეგულარულ შეხვედრებს, რომელთა მიზანია ინციდენტების პრევენცია და დაძაბულობის განმუხტვა.

ოთხმხრივი შეხვედრები ჩიხში შესული ჟენევის მოლაპარაკებების ერთადერთი კონკრეტული შედეგია. ეს შეხვედრები ერთადერთ ოფიციალური მოლაპარაკებების ფორუმს წარმოადგენს, რომელიც კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს უყრის თავს. ასევე აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებამ განაახლა ოთხმხრივ მოლაპარაკებებზე დასწრება თითქმის ერთნაირი ბოიკოტის შემდეგ. მეორე მხრივ, საქართველოსა და

4 2009 წლის აპრილში რუსეთმა ხელი მოაწერა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებთან საზღვრების ერთობლივი დაცვის შეთანხმებას, რომელიც უფლებას აძლევს რუს მესაზღვრეებს, განახორციელონ პატრულირება საზღვრების დაცვის მიზნით: „მოსკოვმა სეპარატისტულ რეგიონებთან შეთანხმებებით მათი საზღვრების დაცვა იკისრა“. *Civil.ge*, 2009 წლის 30 აპრილი, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=20446&search=> (ბოლო ვიზიტი: მარტი 14, 2012).

5 „თბილისი ცალმხრივად დათანხმდა შეზღუდული შეიარაღების ზონებს“, *www.civil.ge*, 28 იანვარი 2009, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=20446&search=> (ბოლო ვიზიტი: თებერვალი 3, 2012).

6 „საქართველოს ძალის არგამოყენების პირობა“, *Civil.ge*, 23 ნოემბერი 2010. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=22880> (ბოლო ვიზიტი: თებერვალი 3, 2012).

7 „ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია“ *Civil.ge*, 23 დეკემბერი 2011 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24953&search=> (ბოლო ვიზიტი: თებერვალი 3, 2012).

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ არაფორმალურად მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სამართლით დაკავებული პირები მხოლოდ უნდა დაიკითხონ და მიეცეთ გაფრთხილება, მაგრამ არ უნდა დაექვემდებარონ დაპატიმრებას<sup>8</sup>.

უსაფრთხოებისადმი თემზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, ანგარიში მიზნად ისახავს იმ მიზეზების გამოვლენას, რომლებიც შიდა ქართლში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემების დაუცველობის გრძნობაზე აგებს პასუხს. უსაფრთხოების ფართომასშტაბიანი და ქმედითი მექანიზმის არარსებობის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივ დონეზე პრობლემებისა და შესაძლებლობების უკეთ გაანალიზება, რომლის საფუძველზე შეიძლება ეფექტიანად ამუშავდეს ადრეული გაფრთხილების მექანიზმი, ხოლო ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკეთ მოარგონ დახმარების სტრატეგიები ადგილობრივ საჭიროებებს. როგორც წინა ანგარიშში, ამჯერადაც უსაფრთხოების წარმოდგენილი სურათი არასრულია, რადგან იგი არ მოიცავს გამყოფი ხაზის სამხრეთ ოსეთის მიერ კონტროლირებულ მხარეს მცხოვრებ თემებსა და მათ საჭიროებებს.

წინამდებარე ანგარიშის პირველი ნაწილი თემების ზოგად სიტუაციას, უსაფრთხოებისა და დაცულობის აღქმასა და თემების სტაბილურობის პრობლემებს ეხება. შემდეგი ნაწილი პირადი უსაფრთხოების, ბოლო ერთი წლის მანძილზე განვითარებულ ტენდენციებსა და უსაფრთხოების დამცველების საქმიანობის შეფასების ანალიზს ეთმობა, ხოლო შემდეგ განხილულია დაძაბულობის ზრდის პოტენციალი, ძირითადი გამომწვევი მიზეზები და ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს ამ მიზეზებზე. ანგარიშის დასკვნით ნაწილში გაანალიზებულია ჩართულობის არსებული მექანიზმების დონეები და ტიპები, ნაჩვენებია, კონკრეტულად რომელი მათგანი სარგებლობს მოსახლეობის განსაკუთრებული ინტერესით და რამდენად ეფექტიანი იქნება, მათი აზრით, ეს მექანიზმები ოსურ და ქართულ თემებს შორის ნდობისა და რწმენის აღსადგანად.

<sup>8</sup> სამხრეთ ოსეთი: აღიარების ტვირთი, კრიზისის ჯგუფის ანგარიში № 205, 7 June 2010, p. 16 <http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/205-south-ossetia-the-burden-of-recognition.aspx> (accessed March 14, 2012).

# 2

## თემები და მათი საჭიროებები


### როგორ იცვლება სიტუაცია თემებში?

#### კონფლიქტის ეკონომიკურმა ზეგავლენამ ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გადაწონა

ზოგადად, გასულ წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცულობის აღქმა, მაგრამ, გაუარესებულია ცხოვრების შესაძლებლობისა და პირობების აღქმა. ეს უკანასკნელი მრავალმხრივ უკავშირდება კონფლიქტს, რადგან მოსახლეობა ცხოვრების პირობების გაუარესების ძირითად მიზეზად გამყოფი ხაზის გადაღმა დარჩენილ რესურსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს.

კითხვაზე, თუ როგორ შეიცვალა სიტუაცია მათ თემებში გასულ წელთან შედარებით, გამოკითხულთა 25%-მა უპასუხა, რომ სიტუაცია გაუმჯობესდა, 19%-ის აზრით, გაუარესდა, ხოლო 53%-მა განაცხადა, რომ სიტუაცია არ შეცვლილა. სიტუაციის ზოგადი აღქმის მხრივ, ყველაზე შთამბეჭდავად **ატოც-დირბის** ჯგუფი გამოიყურება: გამოკითხულთა 51% ამბობს, რომ სიტუაცია საგრძნობლად ან ოდნავ გაუმჯობესდა გასულ წელთან შედარებით და მხოლოდ 3%-ს მიაჩნია, რომ სიტუაცია ოდნავ ან საგრძნობლად გაუარესდა. დადებითი ცვლილების მიზეზი შესაძლოა იყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების შემცირება და ნორმალიზაციის შედარებით განმტკიცება გამყოფი ხაზის გასწვრივ. თუმცა, **ატოც-დირბის** ჯგუფს ყველაზე მეტად ფიზიკური დაუცველობა აწუხებს (იხილეთ ქვემოთ).

#### გრაფიკი 1. როგორ აღწერდით სიტუაციას თქვენს თემში/სოფელში შარშანდელთან შედარებით?




რესპონდენტების 77%-ის აზრით, ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა არის ის ზოგადი პრობლემა, რომელმაც უარყოფითად შეცვალა მდგომარეობა მათ თემებში გასულ წელთან შედარებით. ყველა გამომდინარე პრობლემა, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების შეზღუდვა (53%), ხელმიუწვდომლობა შეშაზე (45%), სარწყავი წყლის გაუარესებული მინოდება (29%) და სხვა, დაკავშირებულია კონფლიქტით გამოწვეულ ეკონომიკურ დაუცველობასთან და აგრეთვე, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს დარჩენილ რესურსებზე ხელმიუწვდომლობასთან. ამ ფაქტორების შედეგად, გამოკითხულთა 61%-მა, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (29%), მიუთითა, რომ მოსახლეობისთვის ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობაა უმწვავესი პრობლემა. ეს უკანასკნელი, კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის შემდეგ, რიგით მეორე ყველაზე საჭირობო პრობლემას წარმოადგენს გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემებისთვის.

თუმცა, საპირისპირო მდგომარეობა გამოვლინდა კრიმინოგენული სიტუაციისა და უსაფრთხოების ინციდენტების მხრივ: რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გამოსწორდა კრიმინოგენული სიტუაცია (45%) და შემცირდა უსაფრთხოების ინციდენტები (39%). ატოც-დირბის ჯგუფი ამ შემთხვევაში გამოწვეულია - იმ რესპონდენტების 66%-მა, რომელმაც მიუთითა, რომ მდგომარეობა მათ თემში გაუარესდა, ეს დინამიკა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების შემთხვევების ზრდას მიანერა (ამდენივე პროცენტმა გაუარესებული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზად ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა დაასახელა). ამავე დროს, იმ რესპონდენტების 39%, რომელმაც აღნიშნა მათ თემში სიტუაციის გაუმჯობესება, ამ პოზიტიურ ცვლილებას კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორებას უკავშირებს. ატოც-დირბის უსაფრთხოების შერეული სურათი შესაძლოა შედეგია იმ გარემოებისა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე განსაკუთრებით ბუნდოვანია გამყოფი ხაზის მდებარეობა და რუსების/ოსების მიერ დაკავების ფაქტებიც ყველაზე ხშირად სწორედ ამ არეალში ხდება.

### გრძელდება კონფლიქტით გამოწვეული დეპოპულაცია, თუმცა ტემპი შენელებულია


გამოკითხულთა მესამედზე მეტმა (36%) განაცხადა, რომ გასულ წელთან შედარებით ახლა მათ თემში უფრო ცოტა ადამიანი ცხოვრობს. ეს მაჩვენებელი ოდნავ ჩამორჩება გასული წლის მაჩვენებელს – მაშინ რესპონდენტების ნახევარზე მეტმა მიუთითა, რომ მათ სოფელს ხალხი ტოვებდა.

### გრაფიკი 2. ადამიანების რაოდენობა თქვენს თემში გასულ წელთან შედარებით



ისე, როგორც წინა კვლევის დროს, გაუკაცრიელება ორ არეალში – ნიქოზ-მერეთსა და ატოც-დირბში იგრძნობა განსაკუთრებით მწვავედ. აქ გამოკითხულთა 57% და 54% მიიჩნევენ, რომ მოსახლეობა მათ თემებში შარშანდელთან შედარებით შემცირებულია. წინა კვლევაში ნიქოზ-მერეთის ჯგუფის რესპონდენტების 60%-მა მიუთითა, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მოსახლეობა მათ თემებში შემცირდა, ატოც-დირბის ჯგუფში იგივე მიუთითა გამოკითხულთა 86%-მა. ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ გაუკაცრიელების ტემპი შენედა, მაგრამ მაინც პრობლემას წარმოადგენს ამ არეალებში. ნიქოზ-მერეთისა და ატოც-დირბის ჯგუფებისგან განსხვავებით, ფლავისმან-ბერშუეთის გამოკითხულთა 23% და წითელუბან-ლამისყანის რესპონდენტების 12% აღნიშნავენ, რომ მათ თემებში უფრო ნაკლები ადამიანი ცხოვრობს; ეს მონაცემები ოდნავ გაუმჯობესებულია წინა წლის კვლევასთან შედარებით.


**გრაფიკი 3. წინა წელთან შედარებით თქვენს თემში/სოფელში ნაკლები ადამიანი ცხოვრობს?**



სილატაკე და ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში დეპოპულაციის ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია. გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემებისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის ძირითადი წყაროა (86%). მოსახლეობა დამოკიდებულია საძოვრებზე, მინის დამუშევაზე, შემასა და სარწყავ წყალზე. ამასთან, ამ რესურსების უმეტესობა ან გამყოფი ხაზის მიღმაა დარჩენილი ან მასთან ახლოს მდებარეობს.

სილატაკე ყველა გამოკითხულ სოფელშია. რესპონდენტების 69%-მა მიუთითა, რომ გასულ თვეს 200 ლარზე (დაახლოებით 80 ევრო) ნაკლები დახარჯა, ხოლო 37%-მა - 100 ლარზე ნაკლები. წითელუბან-ლამისყანაში იმ ადამიანების ოდენობა, რომლებმაც ასი ლარი ან ნაკლები დახარჯეს, გაცილებით მაღალია - 53%.

**გრაფიკი 4. რა ოდენობის თანხა დახარჯა თქვენმა ოჯახმა გასულ თვეს?**



მოსახლეობას არ აქვს შესაბამისი პირობები, რათა თავად უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა და ძალიან არის დამოკიდებული სახელმწიფო მიზნობრივ დახმარებასა და პენსებზე, რაც შემოსავლის მეორე ყველაზე დიდ წყაროს შეადგენს. რესპონდენტთა 59%-მა, ხოლო ატოც-დირბში გამოკითხულების 72%-მა განაცხადა, რომ სახელმწიფო მიზნობრივი დახმარება და პენსია მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა. გამოკითხულთა 12%-ისთვის საჯარო სექტორში დასაქმება შემოსავლის კიდევ ერთი დამატებითი წყაროა. შემოსავლის სხვა წყაროებს მხოლოდ უმნიშვნელო მაჩვენებელი ერგო. ეს მაჩვენებლები ოდნავ მცირეა გასულ წელთან შედარებით, თუმცა, ინფლაციის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტუაცია თითქმის უცვლელია.

## რა არის თემების ყველაზე მწვავე საჭიროებები?

### ფიზიკური უსაფრთხოების ინციდენტები შემცირდა, თუმცა მაინც ძირითად პრობლემად რჩება ატოც-დირბში

კონფლიქტი გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები თემებისთვის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. გამოკითხულთა 62% კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს მათი თემის ყველაზე მწვავე პრობლემად ასახელებს.

გამოკითხულების 13%-ის (გასული წლის 18%-თან შედარებით) აზრით, ძალადობის განახლება ყველაზე მწვავე პრობლემაა თემისთვის. რესპონდენტების 4%-მა ყველაზე მწვავე პრობლემად სროლა დაასახელა (გასულ წელს მსგავსი მონაცემი 11% იყო). ეს მაჩვენებლები სტაბილიზაციის გაზრდილ დონესა და ფიზიკური უსაფრთხოების განმტკიცებაზე მიუთითებენ ომიდან სამწლინახევრის შემდეგ.

თუმცა, ატოც-დირბში არაერთგვაროვანი სურათია. წინამდებარე კვლევასთან შედარებით, გასულ წელს ამ არეალში გამოკითხულმა გაცილებით მეტმა ადამიანმა გამოხატა შეშფოთება ფიზიკური უსაფრთხოების რისკების გამო, ვიდრე სხვა ადგილების წარმომადგენლებმა (39% მარტო ატოც-დირბში, ხოლო დანარჩენ სამ არეალში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 4%-ს მიაღწია). ფიზიკური უსაფრთხოების ინდიკატორები ოდნავ გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. როგორც დაკავება (რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „გატაცებასაც“ უწოდებს), ისე ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბულობა (ქართველებსა და ოსებს შორის) დასახელდა ატოც-დირბში გამოკითხულთა 16%-ის მიერ ხუთ ყველაზე მწვავე პრობლემას შორის, ხოლო სხვა არეალებში იგივე პრობლემები ერთად მხოლოდ 2%-მა დაასახელა.

რაც შეეხება დანარჩენ არეალებს, უფრო ცხადად იგრძნობა კონფლიქტის ისეთი ასპექტი, როგორიცაა მისი გავლენა ცხოვრების პირობებსა და შემოსავლებზე. მაგალითად, კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მათ თემებში სიტუაციის გაუარესება გასულ წელთან შედარებით, პასუხად არ დასახელებულა ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. ძირითადად, რესპონდენტები უთითებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა მცირე ეკონომიკური შესაძლებლობები და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.

კონტრასტი განსაკუთრებით იგრძნობა წითელუბან-ლამისყანასა და ფლავისმან-ბერშუეთში, რადგან ამ თემებს კონფლიქტი ნაკლებად შეეხო, თუმცა ახლა განიცდიან მის ეკონომიკურ ზეგავლენას. ამ ჯგუფში შემავალ სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემები მწვავე პრობლემათა ნუსხის თავშია. წითელუბან-ლამისყანაში, მაგალითად, რესპონდენტები სარწყავ წყალს ნომერ პირველ პრიორიტეტად მიიჩნევენ როგორც პირადი, ისე თემის პერსპექტივიდან. ისეთი პრობლემაც კი, როგორიცაა კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე, მხოლოდ მეორე პრიორიტეტად დასახელდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წინა კვლევის ანგარიშში გაკეთებული დასკვნის სანდოობას - უმეტესობა თემებისთვის კონფლიქტი არ წარმოადგენს მუდმივ ფიზიკურ საფრთხეს. სამაგიეროდ, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მეტად მისი სისტემატური ეკონომიკური ზეგავლენით ითრგუნება. თუმცა, როგორც ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობამ დაადასტურა,



გასულ თვეებში მთავრობამ გარკვეული ზომები მიიღო სოფლებისთვის სარწყავი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად: „ბოლოს და ბოლოს წყალსაქაჩი გვაქვს. თუმცა შემოდგომის [2011] მინურულს დაამონტაჟეს და [ამიტომ] მოსავალი ვერ მოვიყვანეთ. იმის გამო, რომ წყალი, თითქმის ორი წელია, არ გვქონია, ხეხილის ბაღები გადახმა“<sup>9</sup>.

### **მნიშვნელოვანია, თუ როგორ ნაწილდება საერთაშორისო დახმარება**

იმ თემებში, რომლებმაც ნაკლები საერთაშორისო დახმარება მიიღეს, მაგალითად, წითელუბან-ლამისყანასა და ფლავისმან-ბერშუეთში, რესპონდენტები უფრო მეტად მოელიან მათ თემებში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას. მაგალითად, წითელუბან-ლამისყანაში ყველა გამოკითხულმა განაცხადა, რომ 2012 წლის ბოლოსთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება თითქმის გარდაუვალია, ხოლო ფლავისმან-ბერშუეთიდან გამოკითხულთა 70%-მა განაცხადა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ძალიან მოსალოდნელია ან მოსალოდნელია. დანარჩენ ორ ჯგუფში ეკონომიკური პერსპექტივა ნაკლებ პირქუშია: ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების 48% და ატოც-დირბის მხოლოდ 22% მიიჩნევს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა მათ თემებში წელს, სავარაუდოდ, გაუარესდება. თუმცა, საერთაშორისო დახმარების დასრულების შემდეგ, შესაძლოა ეს აღქმა უფრო უარყოფითი დამოკიდებულებით ჩანაცვლდეს.

### **კიდევ უფრო შეიზღუდა ხელმისაწვდომობა სარწყავ წყალზე, განსაკუთრებით, წითელუბან-ლამისყანაში**

ხელმისაწვდომობა სარწყავ წყალზე ზაფხულში და შეშაზე ზამთარში ყველაზე მწვავე სეზონურ პრობლემებს წარმოადგენს თემებისთვის. ორივე პრობლემას საფუძვლად კონფლიქტი უდევს, რადგან მისი წყალობით წყლისა და ტყის რესურსების უმეტესობა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს აღმოჩნდა.

მთლიანი რესპონდენტების 39%-მა დაასახელა სარწყავი წყალი ხუთ ყველაზე მწვავე პრობლემას შორის. ხოლო განსაკუთრებულად მწვავედ ეს საკითხი წითელუბან-ლამისყანისა და ნიქოზ-მერეთის თემებში დგას.

წითელუბან-ლამისყანის ჯგუფში შემავალი თემებისთვის, გამოკითხულთა 79%-ის აზრით, უმწვავეს პრობლემას სარწყავი წყლის უქონლობა, ხოლო 23%-ის აზრით, სასმელი წყლის უქონლობა წარმოადგენს. სარწყავ წყალზე ხელმიუწვდომლობა ნომერ პირველ პრობლემად სახელდება იმ პრობლემათა შორის, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობის ან კონფლიქტის განახლება ამ არეალში. რესპონდენტების 61%-მა აღნიშნა, რომ სარწყავი წყლის პრობლემას შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობა ან კონფლიქტის განახლება, ხოლო 91%-ის აზრით, წლის ბოლოსთვის მათ თემში ძალზე მოსალოდნელია ან მოსალოდნელია სარწყავ წყალთან დაკავშირებული პრობლემის კიდევ უფრო გამწვავება.

ნიქოზ-მერეთში გასული წლიდან მოყოლებული სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ თემში ზოგადი სიტუაცია გაუარესდა, 58%-მა მიუთითა, რომ გაუარესება უკავშირდება სარწყავი წყლით უზრუნველყოფის პრობლემას. სარწყავი წყალი ამ ჯგუფში შემავალ თემებში სიმწვავეთ მეორე პრობლემად კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის შემდეგ. წითელუბან-ლამისყანის მსგავსად, ამ მხრივ სიტუაცია უარესებისკენ შეიცვალა. განსხვავებით წინა კვლევის 49%-ისგან, ახლა უკვე რესპონდენტების 67%-მა განაცხადა, რომ სარწყავი წყლის უქონლობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს ნიქოზ-მერეთისთვის: „თუ წყალი არ გვექნება, მოსავალსაც ვერ მოვიყვანთ.... ხალხი ხორბალს ვერ მოიყვანს და შიმშილით დაიხოცება. რა მნიშვნელობა აქვს ომში მოკვდებიან

9 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალი, 38 წლის, სოფელ ლამისყანადან (წითელუბან-ლამისყანას არეალი).

თუ შიმშილით?“<sup>10</sup> ამ პრობლემის არსებობა ხსნის იმას, თუ რატომ მიანერს გამოკითხულთა 60% სიტუაციის გაუარესებას სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

### **შეშასა და ბუნებრივ აირზე ხელმიწვდომობა პრობლემას წარმოადგენს ზამთარში**

მიუხედავად სეზონური ხასიათისა, უშეშობა, რესპონდენტების 50%-ის აზრით, თემებისთვის უმწვავესი პრობლემაა.

რადგან ტყის მასივების დიდი ნაწილი გამყოფი ხაზის მეორე მხარესაა მოქცეული, შეშის შეგროვებისას ადგილობრივი მოსახლეობა რუსების/სამხრეთ ოსური ძალოვნების მიერ დაკავების საფრთხის ქვეშ იგდებს თავს; ეს კი ფიზიკური დაუცველობის განცდას ბადებს ამ თემებში.

უშეშობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წითელუბან-ლამისყანასა და ფლავისმან-ბერშუეთში წარმოადგენს. ამ თემებში გამოკითხულთა 65% და შესაბამისად 63% აღნიშნავს, რომ ეს ყველაზე მწვავე პრობლემაა მათი თემის მოსახლეობისთვის. ფლავისმან-ბერშუეთში იმ გამოკითხულთა 60%, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სიტუაცია მათ თემში გაუარესდა, ასევე ფიქრობენ, რომ გაუარესება გამომწვეულია უშეშობით. იმ გამოკითხულთა 95%, რომელმაც შეშის საკითხი ყველაზე მწვავე პრობლემად დაასახელა, ფიქრობს, რომ ტყეში შეშის შეგროვების რისკი დაკავშირებულია ოსების/რუსების მიერ დაკავების საფრთხესთან. „ერთხელ ოსებმა [ადგილობრივი] კაცი გაიტაცეს, ცხინვალში გადაიყვანეს და რვა თვე ჰყავდათ პატიმრობაში“<sup>11</sup>. „შეშის შოვნა ძალიან ძნელია. შარშან ჩვენი სოფლები შეშაზე წავიდნენ და ოსებმა მანქანები წაართვეს“<sup>12</sup>.

ბუნებრივი აირის უქონლობა კიდევ უფრო ამწვავეს ამ პრობლემას. „გაზი არ გვაქვს. ორი წლის წინ შეგვპირდნენ გაზის შემოყვანას, მაგრამ მას შემდეგ არაფერი შეცვლილა“<sup>13</sup>. უბრალო დამთხვევას არ წამოადგენს ის ფაქტი, რომ იმ თემებს, რომლებსაც უშეშობა მწვავე პრობლემაა, ბუნებრივი აირის დეფიციტიც აწუხებთ (წითელუბან-ლამისყანა - 65% და ფლავისმან-ბერშუეთი - 49%).

### **ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვეველობა ამძაფრებს ფიზიკურ დაუცველობას და ზეგავლენას ახდენს ცხოვრების პირობებზე**

ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებულმა გაურკვეველობამ განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა ყველა სხვა პრობლემასთან შედარებით. გასულ წელს იგი მხოლოდ რესპონდენტთა 4%-მა დაასახელა, როგორც თემების წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა.

ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ იმ თემებში დგას, რომლებშიც გამყოფი ხაზი სავარგულებსა და საძოვრებზე გადის. ამ მხრივ გამოირჩევა ატოც-დირბისა და ფლავისმან-ბერშუეთის არეალი, სადაც თემები უფრო მძაფრად განიცდიან ამ პრობლემას. ატოც-დირბის რესპონდენტების 36%-მა და ფლავისმან-ბერშუეთის 22%-მა გამყოფ ხაზთან დაკავშირებული ბუნდოვანება თემებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად დაასახელა.

ბევრმა ადგილობრივმა მოსახლემ არ იცის, სად გადის გამყოფი ხაზი, ამიტომ უარს ამბობს მინების დამუშავებაზე ან საძოვრების გამოყენებაზე. მათ ეშინიათ, რომ გამყოფი ხაზის უნებურად გადაკვეთის გამო შეიძლება დააპატიმრონ. ზოგი თემის შემოგარენი, მაგალითად, ატოც-დირბის ჯგუფში შემავალი სოფელი დვანი, ჯერ კიდევ უთანხმოების საგანია მხარეებს შორის, რაც გამყოფი ხაზის ხშირ გადაადგილებას იწვევს.

10 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მამაკაცი, 18 წლის, სოფელ ქერედან (ნიქოზ-მერეთი).

11 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალი, 38 წლის, სოფელ ლამისყანიდან (წითელუბან-ლამისყანა).

12 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მამაკაცი, 47 წლის, სოფელ ლამისყანიდან (წითელუბან-ლამისყანა).

13 იქვე.

ეს პრობლემები ხსნის, თუ რატომ ხდება ატოც-დირბის არეალის თემებში დაკავების ყველაზე მეტი შემთხვევა გამყოფი ხაზის გადაკვეთისას (17% ატოც-დირბში და საშუალოდ 2% დანარჩენ სამ არეალში).

საინტერესოა, რომ წითელუბან-ლამისყანაში, სადაც რესპონდენტთა მხოლოდ 4%-მა მიუთითა გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვეველობა, როგორც თემის საერთო პრობლემა, ათჯერ მეტმა (43%) განაცხადა, რომ ბუნდოვანება პირად საფთხეს წარმოადგენს. მათთვის და მათი თემისთვის მწვავე პრობლემების განსაზღვრისას ბევრმა რესპონდენტმა მიუთითა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა შეზღუდული ხელმისაწვდომობა საძოვრებსა და სავარგულეებზე, დაკავება გამყოფი ხაზის გადაკვეთისას, მაგრამ, მათი აზრით, გამყოფ ხაზთან დაკავშირებული ბუნდოვანება ამ პრობლემების ძირითადი გამომწვევი მიზეზია.

# 3

## პირადი უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების დამცველების როლის აღქმა

**რამდენად  
უსაფრთხოდ  
გრძნობს  
მოსახლეობა  
თავს?**

### უსაფრთხოდ უფრო მეტი ადამიანი გრძნობს თავს

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები ახლა უფრო დაცულად გრძნობენ თავს, ვიდრე დაუცველად. გამოკითხულთა მხოლოდ 4% გრძნობს თავს ნაკლებად დაცულად, ხოლო 25% – დაცულად და უფრო დაცულად; ეს კი წინა წელთან შედარებით ოდნავ გაუმჯობესებაზე მიუთითებს: შარშან გამოკითხულთა 27% გრძნობდა თავს ძალზე დაუცველად ან საკმაოდ დაუცველად, ხოლო 38% გრძნობდა თავს კარგად ან საკმაოდ დაცულად. თუმცა გამოკითხულების 69%-მა განაცხადა, რომ, პირადი დაცულობის მხრივ, სიტუაცია უცვლელი დარჩა. ჩანს, რომ მიუხედავად ინციდენტების შემცირებისა, დაუცველობის გრძნობა მაინც ღრმადამა გამჯდარი ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობაში.

შედარებით დაუცველ თემებშიც კი შეინიშნება გარკვეული ნორმალიზაცია. მაგალითად, ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების მხოლოდ 3%-მა აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით ნაკლებად დაცულად გრძნობენ თავს, ხოლო ატოც-დირბიდან ამგვარი რამ არც ერთ რესპონდენტს განუცხადებია. ამასთან, ატოც-დირბში რესპონდენტთა 27%, ნიქოზ-მერეთში კი 20% გრძნობს თავს დაცულად ან უფრო დაცულად; დანარჩენი გამოკითხულებისთვის მდგომარეობა წელს არ შეცვლილა. ამ არეალში ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრამ დაადასტურა კვლევისას მიღებული შედეგები: „ჩვენ წინა წელთან შედარებით თავს უფრო დაცულად ვგრძნობთ“<sup>14</sup>, „არც ერთ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია“<sup>15</sup>.


ფლავისმან-ბერშუეთში 34% თვლის თავს დაცულად ან უფრო დაცულად, განსხვავებით იმ 6%-ისა, რომელიც თავს ნაკლებ დაცულად გრძნობს.

14 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მამაკაცი, 51 წლის, სოფელი დვანი (ატოც-დირბის ჯგუფი).

15 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალი, 47 წლის, სოფელი ქერე (ნიქოზ-მერეთის ჯგუფი).

ნითელუბან-ლამისყანაში, სადაც მოსახლეობა, ძირითადად, დაცულად მიიჩნევა თავს (93%), 92%-მა წელსაც იგივე მიუთითა, მხოლოდ 4%-მა განაცხადა, რომ თავს შარშანდელთან შედარებით ნაკლებ დაცულად გრძნობს. გასული წელთან შედარებით, არც ერთ ჯგუფს არ გამოუვლენია ტენდენცია გაუარესებისკენ.

**გრაფიკი 5. როგორ შეიცვალა თქვენი პირადი უსაფრთხოების შეგრძნება უკანასკნელი წლის განმავლობაში?**



როგორც წინა კვლევაში, ნიქოზ-მერეთის ჯგუფის თემები თავს შებინდების შემდეგ ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობენ, რაც „ფორნტის ხაზზე“ ცხოვრების აღქმას უკავშირდება. ამ ჯგუფის რესპონდენტების 52% აცხადებს, რომ დაღამებისას თავს ნაკლებად უსაფრთხოდ ან ძალზე უსაფრთხოდ გრძნობს, დანარჩენი სამი ჯგუფის რესპონდენტები, რომლებმაც იგივე მიუთითეს, საშუალოდ 8%-ს შეადგენს. საფრთხის ეს შეგრძნება, სავარაუდოდ, ამ არეალში მსხვილი ოსური დასახლებების, კერძოდ, დედაქალაქ ცხინვალისა და რუსული სამხედრო ბაზების არსებობით აიხსნება. ამ ჯგუფში შემავალი თემები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ. მათ ჯერ კიდევ ეშინათ გამყოფი ხაზის მიღმა პოზიციებიდან მოულოდნელი თავდასხმებისა: „ავტომატით შეიარაღებული ორი კაციც რომ ჩამოვიდეს, ქერე მთლიანად დაცარიელდება“<sup>16</sup>. ამ შიშს კიდევ უფრო ამძაფრებს ახლოს მდებარე რუსულ სამხედრო ბაზებში საბრძოლო იარაღის გადაადგილება და მოძრაობა: „ჩვენ ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, საიდანაც ყოველთვის ვხედავთ, როგორ ხდება სამხედრო როტაცია და იარაღის გადატანა [რუსულ ბაზებში], განსაკუთრებით, ღამე [და ამიტომაც] გვეშინია“<sup>17</sup>.

**სროლა კვლავაც ყველაზე გავრცელებული ინციდენტია**


მსგავსად წინა კვლევისა, რესპონდენტებმა დაასახლეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ის ინციდენტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მათ თემებში გასული წლის მერე. სროლა კვლავ რჩება უსაფრთხოებისთვის საშიშ ყველაზე ხშირ ინციდენტად: რესპონდენტების 23%-ს სროლის ხმა თვეში რამდენჯერმე ესმის. თუმცა, ეს მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ ამ ინციდენტის ინტენსივობა საგრძნობლად შემცირდა გასულ წელთან შედარებით, როდესაც გამოკითხულების 51%-მა მიუთითა, რომ თვეში რამდენჯერმე ესმოდათ სროლის ხმა. თავისთავად ის ფაქტიც, რომ გამოკითხულების მხოლოდ 3-5% ასახელებს სროლას ხუთ მწვავე პრობლემას შორის, მიუთითებს იმაზე, რომ სროლის შემთხვევები უშუალოდ არ უქმნის საფრთხეს ადგილობრივ მოსახლეობას. იმ გამოკითხულების 92% პროცენტი, რომელმაც მიუთითა, რომ სროლის ხმა ესმით, აღნიშნავს, რომ, უმეტესწილად, ჰაერში ისვრიან, ხოლო

16 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალი, 55 წლის, სოფელი ქერე (ნიქოზ-მერეთის ჯგუფი).  
 17 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, 40 წლის, სოფელი ქერე (ნიქოზ-მერეთის ჯგუფი).

მხოლოდ 3%-მა განაცხადა, რომ სროლა დამიზნებულია. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სროლის ინციდენტების შედეგად არავინ დაღუპულა, არ ჰქონია სხეულის დაზიანება, არც ქონებრივი ზარალი მიუღია. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უფრო გამყოფი ხაზის მეორე მხარეს ისვრიან, მათი აზრით, სამხედრო წვრთნების დროს: „როდესაც წვრთნები ტარდება, გასროლის ხმა გვესმის ხოლმე, მაგრამ სამოქალაქო პირებს არ უმიზნებენ<sup>18</sup>.

როგორც მანამდე, სროლის შემთხვევებს, უმეტესად, ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის ჯგუფები ადასტურებენ. ატოც-დირბის რესპონდენტების 63%-მა და ნიქოზ-მერეთის 37%-მა განაცხადა, რომ მათ სროლის ხმა თვეში რამდენჯერმე ესმით. ნიქოზ-მერეთი იყო ერთადერთი არეალი, სადაც რესპონდენტებმა (რომელთაც მიუთითეს, რომ სროლის ხმა ესმოდათ ბოლო წლის განმავლობაში), განაცხადეს, რომ ესმოდათ ყუმბარმცოროციანიდან (20%), ქვემეხიდან (19%) და ტანკებიდან სროლის (4%) ხმა. ყველა რესპონდენტი ატოც-დირბიდან და ნიქოზ-მერეთიდან, რომლებმაც დაადასტურეს სროლის ხმის გაგონება, აღნიშნავს, რომ სროლის ფაქტები შიშსა და პანიკას თესავენ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კონფლიქტის ფსიქო-სოციალურ ზეგავლენას. ამ ჯგუფებისგან განსხვავებით, ფლავისმან-ბერშუეთისა და წითელუბან-ლამისყანის გამოკითხულებმა განაცხადეს, რომ მთელი წლის განმავლობაში სროლის ხმა არ გაუგიათ.

**გრაფიკი 6. რამდენჯერ მომხდარა სროლის ინციდენტი თქვენს თემში/სოფელში ბოლო წლის განმავლობაში?**




**გაიზარდა დაკავების ინციდენტების რიცხვი ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთისას**

დაკავების ფაქტების რიცხვმა ორჯერ მოიმატა წინა კვლევის იმავი მაჩვენებელთან შედარებით. რესპონდენტების 15% (წინა წელს ეს მონაცემი 7% იყო) მიუთითებს, რომ ბოლო წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მათი თემიდან ადამიანის დაკავების ფაქტს, სულ მცირე, თვეში ერთხელ მაინც. ამ მაჩვენებლის ზრდა, ცხადია, უკავშირდება დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გამყოფ ხაზზე კონტროლისა და გადაადგილების შეზღუდვის გამკაცრებას.

დაკავების ფაქტების შესახებ ყველაზე ხშირად ატოც-დირბის ჯგუფის რესპონდენტები უთითებენ (32%-მა განაცხადა, რომ გასულ წელს დაკავების ინციდენტს ადგილი ჰქონდა, სულ მცირე, ერთხელ მაინც). მას მოჰყვება ფლავისმან-ბერშუეთი (15%), წითელუბან-ლამისყანა (8%) და ნიქოზ-მერეთი (5%). დაკავებათა გახშირებას უფრო იმ თემების წარმომადგენლები ჩივიან, სადაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ბუნდოვანება მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს.

18 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 54 წლის, სოფელი კირბალი (ფლავისმან-ბერშუეთის ჯგუფი).

**გრაფიკი 7. კავშირი დაკავების ინციდენტების რაოდენობასა და გამყოფი ხაზის ბუნდოვანებას შორის**




**როგორ აღიქვამს მოსახლეობა უსაფრთხოების დამცველებს?**

**მოსახლეობის აზრით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და პოლიცია ეფექტიანად ასრულებს უსაფრთხოების უმთავრესი დამცველის როლს**

წინა კვლევის მსგავსად, ეს კვლევა აჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და ქართული პოლიცია „უსაფრთხოების უმთავრესი დამცველებია“. რესპონდენტთა 45% (ისე, როგორც გასული წლის კვლევაში) ცენტრალურ ხელისუფლებას უსაფრთხოების უმთავრეს დამცველად ასახელებს. რაც შეეხება პოლიციას, ის საერთო მაჩვენებლით უსაფრთხოების უმთავრესი დამცველია - გამოკითხულთა 42% მას პირველ ადგილზე აყენებს (შარშან ეს მაჩვენებელი 28% იყო), 28% - მეორე ადგილზე, ხოლო 23% - მესამეზე. გასული წლის კვლევის შედეგების მსგავსად, უსაფრთხოების დამცველებად დასახელებულია ქართული ჯარი (54% პირველი, მეორე და მესამე ადგილები ერთად), ადგილობრივი ხელისუფლება (30% გაერთიანებული მაჩვენებელი) და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (13% გაერთიანებული მაჩვენებელი).

**გრაფიკი 8. ვის ევალება თქვენი უსაფრთხოების დაცვა - ვინ არის თქვენი „მთავარი დამცველი“?**



საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების როლი ყველაზე ნათლად ატოც-დირბისა (98%) და ნიქოზ-მერეთის (91%) ჯგუფებში გამოიკვეთა, უფრო ნაკლებად - ფლავისმან-ბერშუეთსა (84%) და ნითელუბან-ლამისყანაში (78%). ატოც-დირბში, სადაც ფიზიკური დაუცველობის აღქმა ყველაზე მძაფრია, გამოკითხულთა 72%-მა განაცხადა, რომ ცენტრალური ხელისუფლება უსაფრთხოების ყველაზე მნიშველოვანი დამცველია, ხოლო ნითელუბან-ლამისყანის ჯგუფში, სადაც მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად ნუსს ფიზიკური უსაფრთხოების გამო, რესპონდენტთა მხოლოდ 23%-მა დააყენა ცენტრალური ხელისუფლება პირველ ადგილზე. ამგვარი განსხვავებული დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას, მოსახლეობის აღქმით, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ტერიტორიებზე, სადაც მოსახლეობა თავს უფრო დაუცველად გრძნობს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტით გამონვეული რისკების ზრდას განაპირობებს არა ადგილობრივი დინამიკა, არამედ უფრო ფართო ხასიათის პოლიტიკური მოვლენები.

განსხვავებით ცენტრალური ხელისუფლებისგან, პოლიცია ყველა თემისთვის თანაბრად მნიშველოვანი დამცველია. მის მიმართ სხვადასხვა თემის დამოკიდებულებაში თითქმის არ იგრძნობა განსხვავება. გასული წლის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა პოლიციას მიმართავდა საჭიროების (ძალადობის ან დანაშაულის) შემთხვევაში: 77%-მა განაცხადა, თუ საჭიროება შეიქმნებოდა, დახმარებისთვის აუცილებლად უსაფრთხოების დამცველებს მიმართავდა, ხოლო 11%-მა აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, ასე მოიქცეოდა. რესპონდენტების 90% პოლიციას მიმართავდა, 29% - ცენტრალურ ხელისუფლებას, 10% - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, 10% - ნათესავებსა და მეგობრებს და ამდენივე - სასამართლოს.

გამოკითხულთა 4%-მა განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ისინი არავის მიაკითხავდნენ დახმარებისთვის, ხოლო 3% არავითარ შემთხვევაში არ ითხოვდა დახმარებას (გასული წლის კვლევაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 2% და 1% იყო). თავშეკავების სამ უმთავრეს მიზეზად რესპონდენტებმა დაასახლეს, რომ მათ თავად შეუძლიათ პრობლემის მოგვარება (34%), უსაფრთხოების მიმწოდებლებს არ შეუძლიათ მათ პრობლემებზე რეაგირება (25%) და უსაფრთხოების მიმწოდებლებს არ ექნებათ რეაგირების სურვილი (19%).


დამოკიდებულება არ შეცვლილა ისეთი არასამთავრობო აქტორების მიმართ, როგორებიცაა: ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესია და ნათესავ-მეგობრები; მათ გამოკითხულები არ მიიჩნევენ უსაფრთხოების დამცველებად. ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტიანობა/ არაეფექტიანობასთან დაკავშირებით გამოკითხულთა მოსაზრება ორ თითქმის თანაბარ ნაწილად გაიყო: რესპონდენტთა 16% მათ საკმაოდ ან ძალიან ეფექტიანად მიიჩნევს, ხოლო 15% - საკმაოდ ან ძალიან არაეფექტიანად. 30%-ს მათ შესახებ მოსაზრება არ გააჩნია.

### **გაიზარდა იმ გამოკითხულთა მაჩვენებელი, რომელთა აზრითაც უსაფრთხოების დამცველები უფრო ეფექტიანად მუშაობენ**

ეფექტიანობის თვალსაზრისით, საქართველოს ჯარმა და პოლიციამ უსაფრთხოების დამცველთა შორის საუკეთესო შეფასება მიიღეს. რესპონდენტების 65%-მა განაცხადა, რომ ჯარი და პოლიცია ძალზე ეფექტიანად მუშაობენ, ხოლო 64% -ის აზრით, მათი მუშაობა ეფექტიანია.




**გრაფიკი 9. უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობის ზოგადი აღქმა რამდენად კარგად უმკლავდებიან უსაფრთხოების ქვემოთ დასახელებული დამცველები თქვენი თემის/სოფლის უსაფრთხოების პრობლემებს?**



თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ წითელუბან-ლამისყანისა და დანარჩენი სამი ჯგუფის რესპონდენტები განსხვავებულად აფასებენ უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობას. წითელუბან-ლამისყანის ჯგუფმა უსაფრთხოების ორ უმთავრეს დამცველს – ცენტრალურ ხელისუფლებასა და პოლიციას – ყველაზე დაბალი შეფასება მისცა (იხ. გრაფიკი 10). ამ ჯგუფის რესპონდენტთა მხოლოდ 15%-მა (დანარჩენ სამ ჯგუფში საშუალოდ 74%) განაცხადა, რომ პოლიცია საკმაოდ ან ძალიან ეფექტიანია თემების წინაშე მდგარი უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებისას, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების შესახებ იგივე აზრი გამოკითხულთა მხოლოდ 6%-მა (განსხვავებით დანარჩენ სამ ჯგუფში დაფიქსირებული საშუალო 54%-ისა) გამოთქვა. დანარჩენ სამ ჯგუფში, რესპონდენტების საშუალოდ 73% მიიჩნევს პოლიციას ძალიან ან საკმაოდ ეფექტიანად (91% - ატოც-დირბი, 73% - ნიქოზ-მერეთი, 56% - ფლავისმან-ბერშუეთი), ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებას, შესაბამისად - 54% (58% - ატოც-დირბი, 49% - ნიქოზ-მერეთი, 55% - ფლავისმან-ბერშუეთი).

**გრაფიკი 10. უსაფრთხოების დამცველების მიმართ დამოკიდებულების შედარება ნითელუბან-ლამისყანის ჯგუფსა და დანარჩენ სამ ჯგუფს შორის რამდენად ეფექტიანად უმკლავდებიან უსაფრთხოების ქვემოთ ჩამოთვლილი დამცველები უსაფრთხოების პრობლემებს თქვენს თემში/სოფელში?**




უსაფრთხოების ყველა სხვა დამცველმა დაბალი შეფასება დაიმსახურა ნითელუბან-ლამისყანის ჯგუფის რესპონდენტების მიერ, სხვა ჯგუფებთან შედარებით. მაგალითად, სამ ჯგუფში საშუალო მაჩვენებლით გამოკითხულთა 75% აფასებს როგორც ძალიან ან საკმაოდ ეფექტიანს (73% ატოც-დირბში, 72% ნიქოზ-მერეთში, 80% ფლავისმან-ბერშუეთში), ხოლო ნითელუბან-ლამისყანაში რესპონდენტთა მხოლოდ 7% იზიარებს იმავე მოსაზრებას. იგივე ტენდენცია შეინიშნება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიმართაც: სამ ჯგუფში გამოკითხულთა საშუალო 49% აფასებს მას, როგორც ძალიან ან საკმაოდ ეფექტიანს (49% ატოც-დირბში, 34% ნიქოზ-მერეთში, 63% ფლავისმან-ბერშუეთში), ხოლო ნითელუბან-ლამისყანაში - მხოლოდ 3%.

ამ განსხვავებული დამოკიდებულების ანალიზისას საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი. პირველი უკავშირდება იმას, რომ უსაფრთხოების დამცველები ახდენენ თემების პრიორიტეტიზაციას ყველაზე დაუცველებად და დაზარალებულებად. მაგალითად, მიიჩნევა, რომ ატოც-დირბი და ნიქოზ-მერეთი უფრო მეტად დაზარალდა კონფლიქტით და უფრო დაუცველია, ვიდრე, მაგალითად, ნითელუბან-ლამისყანა. ნითელუბან-ლამისყანის მოსახლეობა, რომელიც კონფლიქტის ზონიდან მოშორებით ცხოვრობს, შეიძლება ნაკლებ დამოკიდებულია (და ნაკლებადაც ურთიერთობს) უსაფრთხოების დამცველებზე, როგორებიცაა: ქართული ჯარი, პოლიცია ან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. განსხვავებით ამ ჯგუფისგან, უფრო დაუცველი თემები, რომლებიც ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის ჯგუფებში შემავალ სოფლებში ცხოვრობენ, შესაბამისად, სხვაგვარად აფასებენ უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობას.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა ერთობ მცირე პროცენტმა შეაფასა პოლიციის მუშაობა ძალიან ან საკმაოდ არაეფექტიანად. ცხადია, ნითელუბან-ლამისყანაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად არის კმაყოფილი პოლიციის მუშაობით, არც ერთ გამოკითხულს არ აღუნიშნავს, რომ პოლიცია ძალიან ან საკმაოდ არაეფექტიანად მუშაობს, სწორედ ისე, როგორც ატოც-დირბის ჯგუფში, სადაც ადამიანები ყველაზე მეტად კმაყოფილები არიან პოლიციის მუშაობით. თუმცა, ნითელუბან-ლამისყანაში, გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა პროცენტმა (27%) პასუხად „არ ვიცი“ მონიშნა იმ კითხვაზე, რომელიც პოლიციის ეფექტიანობას ეხებოდა. ეს, ალბათ, იმის მაჩვენებელია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას იშვიათად აქვს კონტაქტი პოლიციასთან, განსხვავებით დანარჩენი სამი ჯგუფისგან, სადაც უსაფრთხოების მხრივ, განსხვავებული მდგომარეობაა.

**გრაფიკი 11. წითელუბან-ლამისყანა: უსაფრთხოების დამცველების ეფექტიანობის აღქმა**

რამდენად კარგად უმკლავდებიან უსაფრთხოების ქვემოთ ჩამოთვლილი დამცველები თქვენი თემის/სოფლის წინაშე მდგომ უსაფრთხოების პრობლემებს?



**დამოკიდებულება რუსული ძალებისადმი კვლავაც უარყოფითია**

რუსული ჯარი და მესაზღვრეები ორად ორი აქტორია, რომლის მიმართაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა კვლავ უარყოფით დამოკიდებულებას ინარჩუნებს. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (76% და 74% შესაბამისად) ფიქრობს, რომ რუსული ჯარი და რუსი მესაზღვრეები ძალიან ან საკმაოდ არაეფექტიანები არიან. რესპონდენტების 14%-მა განაცხადა, რომ რუსული ძალები დისლოცირებულები არიან მათ საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს, თუმცა მათ არც კი დალაპარაკებინ.

ჩანს, რომ მოსახლეობის უმეტესობა უფრო უკმაყოფილოა იმით, რომ რუსული ძალები ზღუდავენ გამყოფი ხაზის გადაკვეთას და რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ვიდრე მათი იქ ყოფნით გამოწვეული ფიზიკური უსაფრთხოების რისკებით. სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს ის ფაქტი, რომ, გამოკითხულთა 14%-ის აზრით, რუსი სამხედროები ხუთიდან ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა მათი თემებისთვის, 20%-ს მიაჩნია, რომ რუსი სამხედროები პირად საფრთხეს წარმოადგენენ. გამოკითხულთა ნახევრისთვის მათ თემებში ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მოსახლეობას არ შეუძლია შეშის შეგროვება; ამის მიზეზად თითქმის ყველა რესპონდენტი (95%) რუსების მიერ დაკავების შიშს ასახელებს. შეზღუდვები და დაკავების ფაქტები კიდევ უფრო ამძაფრებს მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას რუსი სამხედროებისა და მესაზღვრეების მიმართ.

# 4

## დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის განახლების პოტენციალი

**როგორია თემებში  
ძალადობის  
განახლების  
პოტენციალი?**

**მოსახლეობა ნაკლებად ელოდება კონფლიქტის განახლებას**


გასული წლის კვლევასთან შედარებით, განახევრდა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც ფიქრობენ, რომ დაძაბულობის ან ძალადობის განახლება ძალზე ან საკმაოდ მოსალოდნელია (24%). გამოკითხულთა 37% (შედარებით შარშანდელ 28%-თან) დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის განახლების შესაძლებლობას საშუალოდ აფასებს, ხოლო 29% (შარშან - 20%) მიიჩნევს, რომ ძალადობის განახლება ნაკლებად სავარაუდოა ან, საერთოდ, არ არის მოსალოდნელი.

ნიქოზ-მერეთში, ატოც-დირბსა და ფლავისმან-ბერშუეთში, უსაფრთხოების მხრივ, შეინიშნება გაუმჯობესება. გასულ წელს ამ სამივე ჯგუფში გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ძალადობის განახლება ძალზე ან საკმაოდ მოსალოდნელი იყო. აღნიშნული გაუმჯობესება, განსაკუთრებით, ატოც-დირბის ჯგუფში შეიმჩნევა, ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მოსახლეობა ძალადობისა და კონფლიქტის განახლების პოტენციალს – ამ საკვლევი არეალის რესპონდენტთა მხოლოდ 5% უთითებს, რომ მათ თემში სიტუაციის დაძაბვა ნაკლებად მოსალოდნელია (არც ერთ რესპონდენტს არ აღუნიშნავს, რომ დაძაბულობის ზრდა ძალზე მოსალოდნელია) – რაც თვალშისაცემად განსხვავდება გასული წლის კვლევის შედეგებთან; მაშინ 12% და 49%, შესაბამისად, დარწმუნებული იყო, რომ მათ თემში სიტუაციის დაძაბვა ძალიან ან საკმაოდ მოსალოდნელი იყო.

ნიქოზ-მერეთი რჩება ერთადერთ ჯგუფად, რომელშიც რესპონდენტების ნახევარზე მეტი ელოდება დაძაბულობის ზრდას. აქ გამოკითხულთა 51% მიიჩნევს, რომ სიტუაციის დაძაბვა ძალიან ან საკმაოდ მოსალოდნელია, ხოლო დანარჩენ სამ ჯგუფში ამავე აზრს გამოკითხულთა საშუალოდ 12% იზიარებს. ეს ცვლილება მიუთითებს, რომ, გასულ წელთან შედარებით, კონფლიქტით დაზარალებული თემების მიერ რისკის აღქმა შესუსტებულია. 2010 წლის

ოქტომბრის კვლევაში ნიქოზ-მერეთის გამოკითხულების 68% ფიქრობდა, რომ წლის ბოლოსთვის სიტუაციის დაძაბვა ძალიან ან საკმაოდ სავარაუდო იყო. ეს მოლოდინი ასახავს ამ არეალში მცხოვრები ადამიანების უკიდურესად უარყოფით გამოცდილებას კონფლიქტთან დაკავშირებით, რადგან 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს ეს ჯგუფი ყველაზე მეტად დაზარალდა ფიზიკური განადგურებითა და მოროდიორობით. გარდა ამისა, ამ ჯგუფის მიერ რისკის აღქმაზე გავლენას ახდენს მსხვილი ოსური დასახლებებისა (ცხინვალის ჩათვლით) და რუსული სამხედრო ბაზების სიახლოვე.

**გრაფიკი 12. რამდენად დიდია თქვენს თემში სიტუაციის დაძაბვის საფრთხე?**



საინტერესოა, რომ შარშანდელთან შედარებით, წითელუბან-ლამისყანის ჯგუფში, რომელშიც გასულ წელს რესპონდენტთა 90% არ მოელოდა დაძაბულობის ზრდას, წელს დამოკიდებულება ოდნავ გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიას კონფლიქტის ზონიდან სიშორის გამო ნაკლებად ემუქრება ფიზიკური საფრთხე, გამოკითხულთა 6%-მა განაცხადა, რომ სიტუაციის დაძაბვა საკმაოდ მოსალოდნელია (განსხვავებით, შარშანდელი 0%-ისა), ხოლო 17%-მა (შარშან ეს მაჩვენებელი 3% იყო) აღნიშნა, რომ დაძაბულობა შესაძლოა გაიზარდოს. აღნიშნულ უარყოფით დამოკიდებულებას, ეტყობა, განაპირობებს ეკონომიკურ დაუცველობა - გამომწვეული გამყოფი ხაზის გადაღმა რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით (იხ. ქვემოთ).

**რა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა?**

**შემდგომი პოლიტიკური ესკალაცია, გამყოფი ხაზის გადმონევა, ინციდენტები გამყოფი ხაზის გადასწვრივ – დასახელდა როგორც დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის განახლების შესაძლო გამომწვევი მოვლენები**

რესპონდენტების ორ მესამედზე მეტი ფიქრობს, რომ დაძაბულობის ზრდა და კონფლიქტის განახლება შეიძლება საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკურმა დაძაბულობამ გამოიწვიოს, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ დაძაბულობის ზრდის მეორე ყველაზე სერიოზული გამომწვევი მიზეზი, სავარაუდოდ, თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობის დაძაბვა იქნება. ისე, როგორც წინა კვლევაში, ამ კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის დაძაბულობის ზრდის მიზეზები მათი თემებისა და გავლენის ზონის გარეთაა და ამავე დროს, განსხვავებით ქართული ოფიციალის პოზიციისგან, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა ცხინვალს ცალკე აქტორად მიიჩნევს

**გრაფიკი 13. რომელ მოვლენებს შეუძლია დაძაბულობის ზრდის გამომწვევა/ კონფლიქტის განახლება?**

შემდგომი პოლიტიკური ესკალაცია რუსეთსა და საქართველოს შორის	70%
შემდგომი პოლიტიკური ესკალაცია თბილისსა და ცხინვალს შორის	48%
ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაწვევა ოსების/რუსების მიერ	34%
შეტაკებები სამხედრო ძალებს შორის	28%
სროლა	26%
ზამთარში ახლომდებარე ტყეებში შეშის მოპოვების შეუძლებლობა	21%
შიდა პოლიტიკური არეულობა	21%
პოლიტიკოსების არაზუსტი ან შუღლის დამნერგავი განცხადებები	17%
ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაწვევა ქართველების მიერ	13%
ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება	12%
გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაცია	11%
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დასრულება	11%
რეგიონში იარაღის შემოდინება	10%
არაზუსტი ან შუღლის დამნერგავი მედია-სიუჟეტები	10%
ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთის შესაძლებლობის შეზღუდვა	10%
სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები	9%
გარე პოლიტიკური სიტუაციის ესკალაცია	8%
ადამიანთა არალეგალური მოძრაობის ზრდა	5%
სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები	2%

თვალშისაცემი განსხვავება წინა და მოცემულ კვლევას შორის ისაა, რომ საგრძნობლად გაიზარდა რუსულ/ოსური ძალების მიერ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის, როგორც დაძაბულობის ესკალაციის შესაძლო მიზეზის, მნიშვნელობა. გასულ წელს, ეს ფაქტორი მხოლოდ გამოკითხულთა 27%-მა დაასახელა, წელს – 34%-მა. ასე რომ, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა დაძაბულობის ზრდის მესამე ყველაზე მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად შეფასდა. სამაგიეროდ, შემცირდა სროლის, როგორც დაძაბულობის შესაძლო გამომწვევი მიზეზის, მნიშვნელობა (41%-იდან 26%-ამდე). ამ ტენდენციას, სავარაუდოდ, სროლის ინციდენტებისა და ამის შედეგად გამომწვეული დაუცველობის გრძნობის შემცირება განაპირობებს. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევით გამომწვეულ შემფოთებას კიდევ უფრო ამძაფრებს ხაზის მიღმა დარჩენილ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და მის მდებარეობასთან დაკავშირებული გაურკვეველობა.

წინა კვლევაში გამოვლენილი ტენდენციის მსგავსად, ის რესპონდენტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სროლის ინციდენტებს შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა, ჩვეულებრივ, იმ თემებში ცხოვრობენ, რომლებშიც სროლა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად სახელდება როგორც თემის, ისე პიროვნულ დონეზე. ეს არის ის მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებს კონფლიქტის ეპიცენტრში მცხოვრებ თემებს – ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის ჯგუფებს – მოშორებით მცხოვრები ფლავისმან-ბერშუეთისა და ნითეულბან-ლამისყანის ჯგუფში შემავალი თემებისგან.

**რა ფაქტორები ახდენს გავლენას თემების მიერ შესაძლო რისკ-ფაქტორების შეფასებაზე?**

**მიიჩნევა, რომ დაძაბულობის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტით გამომწვეულმა ეკონომიკურმა დაძაბულობამ და გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ.**


რიცხოვრივად, რესპონდენტთა შედარებითი უმრავლესობა (9,907 ადამიანი) მიიჩნევს, რომ დაძაბულობის ესკალაციამ თბილისსა და რუსეთს შორის შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტის განახლება 2011 წლის ბოლოსთვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკური სიტუაცია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ჯერ კიდევ არასტაბილურია.

წინა კვლევისგან განსხვავებით, როდესაც სროლის ინციდენტები დასახელდა კონფლიქტის განახლების ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, ხოლო ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა - ყველაზე უმნიშვნელოდ, ამ კვლევაში სურათი შეიცვალა, ანუ უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ კონფლიქტის განახლება შეიძლება დაუკავშირდეს უფრო ყოფით პრობლემებს, ვიდრე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინციდენტებს, მაგალითად, სროლას. გამოკითხულთა 90%-ის აზრით, მათი თემის მახლობლად მდებარე ტყეებში შემის შეგროვების შეუძლებლობა, სავარაუდოდ, გამოიწვევს დაძაბულობის ზრდას 2012 წლის ბოლოსთვის, ხოლო რესპონდენტთა ნაწილი, რომლის 80% ფლავისმან-ბერშუეთსა და წითელუბან-ლამისყანაში ცხოვრობს, კონფლიქტის განახლების შესაძლო მიზეზად სხვა პრობლემას ასახელებს; მათი აზრით, დაძაბულობის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს სარწყავ წყალზე შეზღუდულმა ხელმისაწვდომობამ.

აღნიშნული პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილ რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და ამით გამოწვეულ მზარდ უკმაყოფილებას, განსაკუთრებით, წითელუბან-ლამისყანასა და ფლავისმან-ბერშუეთში.

**გრაფიკი 14. თქვენი აზრით, რომელ მოვლენებს შეუძლია გაზარდოს დაძაბულობა/განაახლოს კონფლიქტი? რამდენად მოსალოდნელია, რომ ქვემოთ დასახელებული რომელიმე მოვლენა მოხდეს ამ წლის განმავლობაში?**

ჩამოთვლილია მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც დასახელდა გამოკითხულთა 20%-ის მიერ ან მოვლენები, რომლებმაც, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით (50%+), შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა




**წითელუბან-ლამისყანა და ფლავისმან-ბერშუეთი მეტადაა დამოკიდებული ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილი რესურსების გამოყენებაზე და უფრო მტკივნეულად აღიქვამს გამყოფი ხაზის გადმონევას.**

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევას ის თემები უფრო განიცდიან, რომლებშიც ფიზიკური უსაფრთხოება კონფლიქტის მწვავე შედეგად არ მიიჩნევა. ფლავისმან-ბერშუეთში რესპონდენტების 43% მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა რუსების მიერ, ხოლო 17%-ის აზრით, ქართველების მიერ შესაძლოა გახდეს შემდგომი დაძაბულობის მიზეზი. წითელუბან-ლამისყანაში ამ მოსაზრებას რესპონდენტების 42% და, შესაბამისად, 11% იზიარებს. მათგან განსხვავებით, ამ მოსაზრებას ნიქოზ-მერეთის რესპონდენტთა 31% და, შესაბამისად, 14%, ხოლო ატოც-დირბის 16% და 3% იზიარებს.

რისკის განსხვავებული აღქმა ოთხ საკვლევ არეალში გამოწვეულია იმით, რომ ფლავისმან-ბერშუეთისა და წითელუბან-ლამისყანის მოსახლეობისთვის ხაზის მიღმა დარჩენილი რესურსები უფრო საჭიროა საარსებოდ, განსაკუთრებით კი, შეშა (ორივე ჯგუფისთვის) და სარწყავი წყალი (განსაკუთრებით, წითელუბან-ლამისყანაში). ალბათობა იმისა, რომ ფლავისმან-ბერშუეთისა და წითელუბან-ლამისყანის რესპონდენტები მიუთითებენ შეშაზე ხელმისაწვდომობას, საძოვრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ან მინის დამუშავების შეუძლებლობას, როგორც მათი თემებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემას, ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე დანარჩენი ორი ჯგუფის რესპონდენტების შემთხვევაში (იხ. გრაფიკი 15).

**გრაფიკი 15. თემები ფლავისმან-ბერშუეთისა და წითელუბან-ლამისყანაში უფრო დამოკიდებულები არიან გამყოფი ხაზის მიღმა რესურსზე და ამიტომ უფრო მტკივნეულად განიცდიან ხაზის გადმონევას.**

რა წარმოადგენს საფრთხეს პირადად თქვენთვის? რომელ მოვლენებს შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა/კონფლიქტის განახლება?



ათოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის ჯგუფებისგან განსხვავებით, სადაც რესპონდენტები დაძაბულობის ზრდის შესაძლო გამომწვევად უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ და პოლიტიკურ ფაქტორებს ასახელებენ, ხოლო ეკონომიკურ დაუცველობასთან დაკავშირებულ ფაქტორებს უმნიშვნელოდ მიიჩნევენ, ფლავისმან-ბერშუეთისა და წითელუბან-ლამისყანის ჯგუფის რესპონდენტები ისეთ ეკონომიკურ პრობლემებს ანიჭებენ პრიორიტეტს, როგორებიცაა შეშა (32% ფლავისმან-ბერშუეთის, ხოლო 60% წითელუბან-ლამისყანას შემთხვევაში), სარწყავი წყალი (61% წითელუბან-ლამისყანა), გამყოფი ხაზის გადაკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები და გაუარესებული ეკონომიკური სიტუაცია (21% და 20%, შესაბამისად, ფლავისმან-ბერშუეთში).



# კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოტენციალი

**როგორ შეიცვალა  
გამყოფი ხაზის  
მეორე მხარეს  
მცხოვრებ  
თემებთან  
კონტაქტის  
ხასიათი და  
დონე?**

კიდევ უფრო შემცირდა კონტაქტი გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან, მაგრამ ეს სიტუაცია არ გადაზრდილა მტრულ დამოკიდებულებაში მოსახლეობის მხრიდან.

თითქმის ყველა რესპონდენტი (96%) მიუთითა, რომ მათი ურთიერთობა გამყოფი ხაზის იქით მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან არ შეცვლილა. რესპონდენტების მხოლოდ მცირე რიცხვმა (3%) მიუთითა, რომ ურთიერთობა გაუარესდა და თითქმის არც ერთ რესპონდენტს (გარდა ნითელუბან-ლამისყანის ჯგუფის ძალზე მცირე ოდენობის გამოკითხულებისა) არ აღუნიშნავთ გაუმჯობესება ამ ურთიერთობებში წინა წელთან შედარებით.

ზოგადად, გასულ წელთან შედარებით ოდნავ მეტმა რესპონდენტმა (80%, წინა კვლევაში 73%) აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან ურთიერთობა არ აქვთ. უკონტაქტობის დონე განსაკუთრებით მაღალია ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის ჯგუფში (94%), საკმაოდ მაღალი - ფლავისმან-ბერშუეთში (79%), ხოლო ყველაზე დაბალი - ნითელუბან-ლამისყანაში (29%).

რესპონდენტების ნახევარმა (49%) ნითელუბან-ლამისყანიდან და ფლავისმან-ბერშუეთიდან გამოკითხულების მეხუთედმა (20%), განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან ნათესაური კავშირები აქვთ, ხოლო დანარჩენ ორ ჯგუფში იმავე რესპონდენტების მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობამ მიუთითა. ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის ჯგუფების გამოკითხულებიდან არავის მიუთითებია, რომ მეგობრები ჰყავს გამყოფი ხაზის მიღმა, ფლავისმან-ბერშუეთში ასეთი 3% აღმოჩნდა, ხოლო ნითელუბან-ლამისყანის გამოკითხულების 22% მეგობრობს გამყოფი ხაზის იქით მცხოვრებლებთან. ამგვარი განსხვავება და ნითელუბან-ლამისყანის ჯგუფის თემების კონტაქტის მაღალი დონე შესაძლოა გამოწვეული იყოს ამ ჯგუფის უშუალოდ კონფლიქტის არეალიდან მოშორებული მდებარეობითა და ეთნიკური ოსების დიდ ჯგუფთან თანაცხოვრებით (ამ ჯგუფის გამოკითხულების 31%-ს ეთნიკური ოსები შეადგენდნენ). თუმცა, ოთხივე საკვლევ არეალში თითქმის ყველა რესპონდენტი (1%-ის გარდა) განაცხადა, რომ მათ არ აკავშირებთ სავაჭრო ან ბიზნეს-ურთიერთობები სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან.

კიდევ უფრო შემცირებული კონტაქტი გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ თემებთან შემდომი გაუცხოების საფრთხეს ქმნის და ამით ძირს უთხრის შერიგების მეტად მნიშვნელოვან რესურსს. თუმცა, იძულებით გაუცხოებას არ გაუღვივებია მტრული დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ

**სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან ჩართულობის რა მექანიზმებს უჭერს მხარს მოსახლეობა?**


**მოსახლეობა მხარს უჭერს ადამიანებს შორის კონტაქტისა და გამყოფი ხაზის მიღმა ვაჭრობის გაზრდილ შესაძლებლობას.**

წინა კვლევის მსგავსად, რესპონდენტები ახლაც მხარს უჭერენ ხაზის გაღმა მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან ჩართულობის ნებისმიერ მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის ხარისხი განსხვავდებოდა თითოეულ ამ მექანიზმთან მიმართებაში, უკმაყოფილების მაჩვენებელი თითოეულის შემთხვევაში ძალზე დაბალი იყო, ხოლო ზოგ შემთხვევაში - უმნიშვნელოც კი.

რესპონდენტების 89% პროცენტი ადამიანის უფლებების დაცვას უჭერს მხარს, 84% - მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად მგზავრობას ხოლო 83% - სოფლის მეურნეობის სამუშაოების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ჩართულობის ამ ფორმებს მოსდევს ადგილობრივ მეზობლებთან დიალოგის შესაძლებლობა (80%) და ისეთი ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ვაჭრობას გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ თემებს შორის (იხ. გრაფიკი 16). წითელუბან-ლამისყანის ჯგუფში ყველაზე დიდი მხარდაჭერა (94%) გამყოფი ხაზის გადაღმა მცხოვრები მეგობრებისა და ნათესავების მოსახულების შესაძლებლობამ მოიპოვა. ამ ჯგუფში მრავალი შერეული ოჯახი ცხოვრობს; მათ სურთ, გარანტირებული კონტაქტი ჰქონდეთ, მეორე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობასთან.

**გრაფიკი 16. ჩართულობის ზომების მხარდაჭერა**

რამდენად უჭერთ მხარს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ოსურ თემებთან ჩართულობის ქვემოთ ჩამოთვლილ ზომებს?



ახლაც, როგორც წინა კვლევაში, ნიქოზ-მერეთის ჯგუფის რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, რომ, არსებითად, მხარს უჭერენ ჩართულობის ზომებს, დიდი ენთუზიაზმით არ გამოირჩევიან შემოთავაზებული ზომების მიმართ. სხვა ჯგუფების რესპონდენტები უფრო „სრულად უჭერენ მხარს“, ვიდრე, უბრალოდ,

**ამჟამად რომელი ღონისძიებაა მიჩნეული მოსახლეობის მიერ ყველაზე ეფექტიანად?**

„უჭერენ მხარს“ შემოთავაზებულ კონკრეტულ ღონისძიებას; შესაბამისად, უკმაყოფილებაც ამ ზომებისა და მექანიზმების მიმართ შედარებით ნაკლებია (საშუალოდ 3%, განსხვავებით საშუალო 0.5%-ისგან ატოც-დირბში, 1.5% ნიქოზ-მერეთსა და 0% ნითეულბან-ლამისყანაში).


**რწმენა ნდობის აღმდგენი ღონისძიებების მიმართ, ზოგადად, სუსტია, თუმცა გამონაკლისს გამოყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ თემებში ვაჭრობის ხელშეწყობა წარმოადგენს.**

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები საკმაოდ მყარად უჭერენ მხარს გამოყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან რწმენისა და ნდობის აღმდგენ ღონისძიებებს, მათი დამოკიდებულება ამ ღონისძიებათა უმეტესობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით საკმაოდ პესიმისტურია (იხ. გრაფიკი 17). მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ოსურ თემებთან ჩართულობისთვის საუკეთესო ღონისძიებად ადამიანის უფლებების დაცვა იქნა მიჩნეული, რესპონდენტების მხოლოდ 9%-მა, ანუ ათჯერ ნაკლებმა, მიიჩნია ეს ღონისძიება ყველაზე ეფექტიანად.

განსხვავება ამგვარი მექანიზმების მიმართ მხარდაჭერასა და მათი ეფექტიანობის შეფასებას შორის იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იმედგაცრუებულია კონფლიქტის მიმდინარე შედეგებით და ნაკლებად აქვს იმის რწმენა, რომ ადგილობრივი დონიდან წამოსულ ინიციატივებს შეეძლება ხელშესახები შედეგები მოიტანოს. ისინი ფიქრობენ, რომ დაძაბულობის ზრდა გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული: „რუსები ქართველებსა და ოსებს შორის დგანან... რუსები სანამ არ დაიხვეწენ, არაფერიც არ მოგვარდება“<sup>19</sup>. „ყველაფერი კარგად იქნება, რუსის ჯარი რომ გავა“<sup>20</sup>. რესპონდენტების მხოლოდ 5% მიიჩნევს, რომ ადგილობრივ დონეზე გამოყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ თემებს შორის უთანხმოების მოგვარების ადგილობრივ მექანიზმებს შეეძლება შედეგის მოტანა.

**გრაფიკი 17. ჩართულობის განსამტკიცებელი მექანიზმების ეფექტიანობის აღქმა**

რამდენად უჭერთ მხარს გამოყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ ოსურ თემებთან ჩართულობის ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებს? ამ ეტაპზე სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ თემებთან ნდობისა და რწმენის აღდგენა რა ღონისძიებებით არის შესაძლებელი?



19 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალი, 41 წლის, სოფელი ქერე (ნიქოზ-მერეთის ჯგუფი).  
 20 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალი, 40 წლის, სოფელი დვანი (ატოც-დირბის ჯგუფი).

ჩართულობის შედარებით ეფექტიანად მიჩნეული ღონისძიებების შედარებისას, თვალშისაცემია უფრო კონკრეტული, ქმედებაზე ორიენტირებული ზომები, რომლებიც ადგილობრივ საჭიროებებს პასუხობს. ამგვარად, როგორც წინა კვლევაში, გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ თემებთან სავაჭრო ურთიერთობის ხელშეწყობა ყველაზე ეფექტიან ზომადაა მიჩნეული გამყოფი ხაზის სხვადახვა მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის რწმენისა და ნდობის აღსადგენად. რესპონდენტების 59% ვაჭრობის ხელშეწყობას სამ ყველაზე ეფექტიან ზომას შორის ასახელებს, ხოლო 35%-ის აზრით, ის ყველაზე ეფექტიანი იქნება. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობას ყველაზე ეფექტიან ზომად მხოლოდ ატოც-დირბის გამოკითხულები არ ასახელებენ.

რესპონდენტები გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ ოსურ თემებთან ნდობის აღდგენის ყველაზე ეფექტიან მექანიზმებად ხაზის იქით დარჩენილი მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად მგზავრობის ხელშეწყობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს უსაფრთხოების დაცვას ასახელებენ (44% და 37% შესაბამისად). ამას მოსდევს საძოვრებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც გამოკითხულთა 36%-მა დაასახელა ყველაზე ეფექტიან ზომად. რაც შეეხება, დანარჩენს ზომებს, მათ ეფექტიანად გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედზე ნაკლები მიიჩნევს.

# 6

## დასკვნა

**მრავალი ასპექტისა** და ფიზიკური უსაფრთხოების მხრივ, შიდა ქართლის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მოსაზღვრე თემებისთვის სიტუაცია გაუმჯობესდა. გასულ წელთან შედარებით, განახევრდა იმ რესპონდენტების რიცხვი (24%), რომლებიც დაძაბულობის ზრდას მოელიან. გასული წლიდან მოყოლებული ადგილი არ ჰქონია რაიმე სერიოზულ ინციდენტს, იკლო სროლის შემთხვევათა რიცხვმა, გამოკითხულთა ინფორმაციით, სროლა, ძირითადად, სამხედრო წვრთნებს უკავშირდება და მიმართული არ არის მშვიდობიან მოსახლეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგები სიტუაციის ნორმალიზებასა და ფიზიკური უსაფრთხოების ზრდაზე მიუთითებს, ამავე დროს იმასაც ადასტურებს, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები - შემცირებული კონტაქტისა და გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილი რესურსებზე ხელმისაწვდომის პრობლემები. რუსი მესაზღვრეების მიერ გამყოფი ხაზის პერიმეტრის კონტროლის ხელში აღება ამ ადგილებში მცხოვრებთა დიდ ნაწილს აბრკოლებს, საკუთარი მინა დაამუშაოს, პირუტყვი გამოკვებოს და ზამთარში შეშა შეაგროვოს. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანად აუარესებს გამყოფი ხაზის მიმდებარე მცხოვრები თემების ცხოვრების პირობებს; შედეგად, წინა წლის მონაცემებთან შედარებით, ორჯერ მეტი რესპონდენტი (61%) ასახელებს ფულის შოვნის ნაკლებ შესაძლებლობას, როგორც მათი თემების წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემას. ამ მიზეზის გამო, ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის შემდეგ, ნომერ მეორე ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემებისთვის.

უფრო მეტიც; ყველა ის რესპონდენტი, რომლებმაც მიუთითეს, რომ მდგომარეობა მათ თემებში გაუარესდა, ამის მიზეზად ისეთ ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტის შედეგებსა და გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილ რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან. ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე კონტროლის გამკაცრებისა და რუსული/ოსური ძალების მიერ გადაადგილების შეზღუდვის შედეგად თითქმის გაორმაგდა დაკავების შეტყობინებული ფაქტები (15%). ხაზის გადაკვეთის შეზღუდვები და ამით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები საფრთხეს უქმნის გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემების მდგრადობას და ზრდის იმედგაცრუებას, რაც, თავის მხრივ, რისკის ქვეშ აყენებს სტაბილურობას ადგილობრივ დონეზე.

### ატოც-დირბი

წინა წლის მსგავსად, ატოც-დირბის ჯგუფში შემავალი თემები, სხვა თემებთან შედარებით, უფრო გამოხატავენ შეშფოთებას ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (39% ამ ჯგუფში და დანარჩენი სამი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი 4%). ასევე, დანარჩენი სამი ჯგუფის რესპონდენტების 2%-თან შედარებით, ატოც-დირბის რესპონდენტების 16% გამყოფი ხაზის გადაკვეთისას ადამიანების დაკავების ფაქტებსა და დაძაბულობას ეთნიკურ ნიადაგზე მათი

თემების ხუთ ყველაზე მწვავე პრობლემას შორის ასახელებს. დაკავების ფაქტების უმეტესობა გამყოფი ხაზის ბუნდოვან მდებარეობას უკავშირდება; ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ხდება რუსულ/ოსური ძალების მხრიდან დაკავების მსხვერპლი, რადგან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მდებარეობა ბუნდოვანი და პირობითია. ფიზიკური დაუცველობის შეგრძნება, რომელიც გადაჯაჭვულია ეკონომიკურ სიდუხჭირესთან, შემდგომ გაუკაცრიელებას იწვევს, თუმცა მოსახლეობის მიერ თემების დატოვების ტემპი გარკვეულწილად შენელებულია.

მეორე მხრივ, სწორედ ატოც-დირბის ჯგუფში შეინიშნა ყველაზე თვალსაჩინო ტენდენცია დადებითი ცვლილებებისა; ამ ჯგუფის გამოკითხულთა 51% აღნიშნავს, რომ გასულ წელთან შედარებით სიტუაცია მათ თემებში გაუმჯობესდა. გარდა ამისა, ატოც-დირბის თემებში ყველაზე მეტად იგრძნობა დაძაბულობის პოტენციალის შემცირების აღქმა; გამოკითხულთა მხოლოდ 5%-მა აღნიშნა, რომ მათ თემებში საკმაოდ მოსალოდნელი იყო დაძაბულობის ზრდა 2012 წლის ბოლოსთვის (არავის აღუნიშნავს, რომ ამგვარი რამ მათ თემებში ძალიან მოსალოდნელი იყო), რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა კვლევის შედეგისგან, როდესაც გამოკითხულთა 12%-მა და, შესაბამისად, 49%-მა მიუთითა, რომ სიტუაციის დაძაბვა მათ თემებში საკმაოდ ან ძალიან მოსალოდნელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნორმალიზიის შედეგად შეინიშნება რისკის აღქმის შემცირება, ეკონომიკური დაუცველობა მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება ატოც-დირბის მოსახლეობისთვის. ცუდი გზები (65%) და ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა (57%) თემებისთვის მეორე და მესამე ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის შემდეგ. ამ მოშორებულ ადგილებში მოსახლეობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია უსაფრთხო გარემოს გამყარება და ცხოვრების პირობების, შემოსავლის მიღების შესაძლებლობებისა და ინფრასტრუქტურის (მაგ., გზების) გაუმჯობესება.

## ნიქოზ-მერეთი

ნიქოზ-მერეთში კვლავ შერეული სურათი გვაქვს. რესპონდენტთა დაახლოებით ერთი და იგივე რიცხვი (27% და 24% შესაბამისად) მიუთითებს, რომ სიტუაცია გაუმჯობესდა ან გაუარესდა, ხოლო გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (47%) აღნიშნავს, რომ სიტუაცია მათ თემში არ შეცვლილა. ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ეპიცენტრში ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის 79%, ანუ უფრო მეტი, ვიდრე დანარჩენ სამ ჯგუფში, თვლის, რომ კონფლიქტის ზონასთან ახლოს ცხოვრება მათი თემების ყველაზე მწვავე პრობლემაა. მსხვილ ოსურ დასახლებებთან, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალთან და აგრეთვე რუსულ სამხედრო ბაზებთან სიახლოვე კიდევ უფრო ამძაფრებს დაუცველობის შეგრძნებას.

მიუხედავად იმისა, რომ რისკის აღქმა შესუსტებულია, გასული წლის შედეგებთან შედარებით, ნიქოზ-მერეთი ერთადერთი ჯგუფია, სადაც რესპონდენტების უმეტესობა (51%) მოელის დაძაბულობის ზრდას (დანარჩენი სამი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი ამ მხრივ 12%-ია). საფრთხის ამგვარი აღქმა ხსნის, თუ რატომ აქვთ ამ ჯგუფის თემებს სუსტი რწმენა იმისა, რომ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან ჩართულობის ზომები შედეგიანი იქნება.

როგორც ატოც-დირბის შემთხვევაში, მიუხედავად შემცირებული მასშტაბისა, გაუკაცრიელება კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ამ ჯგუფის თემებისთვის - გამოკითხულთა 57%, ანუ სხვა რომელიმე ჯგუფთან შედარებით მეტი - მიიჩნევს, რომ მათ თემში მოსახლეობა შემცირდა წინა წელთან შედარებით. ნიქოზ-მერეთის თემების სტაბილურობას საფრთხეს უქმნის ფიზიკური და ეკონომიკური დაუცველობის (რაც, განსაკუთრებით, სარწყავ წყალს უკავშირდება) განცდაც.

## ფლავისმან-ბერშუეთი

მიუხედავად იმისა, რომ ფლავისმან-ბერშუეთის ჯგუფი კონფლიქტის შედეგად შედარებით ნაკლებად დაზარალდა, ამ თემებში მცხოვრები მოსახლეობა სულ უფრო განიცდის კონფლიქტის ეკონომიკურ შედეგებს. გამოკითხულთა 70%

მიიჩნევს, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, ხოლო იმ რესპონდენტების 60%, რომელმაც აღნიშნა, რომ მათ თემებში მდგომარეობა გაუარესდა, ამ ცვლილებას შემაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას უკავშირებს.

გამკაცრებული კონტროლი ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას არ აძლევს გამოიყენოს ის რესურსები, რომლებზეც ის ტრადიციულად იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით მწვავეა შეშის პრობლემა, რომლის შეგროვება გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილი ტყიდან ხდებოდა. ზამთარში შეშის პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ბუნებრივი აირის უქონლობა ან მასზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ფლავისმან-ბერშუეთის მოსახლეობა ერთობ მტკენულად განიცდის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევის ნებისმიერ შემთხვევას, რადგან ეს თემები ძალზე დამოკიდებულები არიან შემაზე. გამყოფ ხაზზე კონტროლის გამყარებამ გაზარდა გადაკვეთისას რუსების/ოსების მიერ დაკავების ალბათობა. ფლავისმან-ბერშუეთი მეორე ჯგუფია ატოც-დირბის შემდეგ, რომელიც მათი თემების მწვავე პრობლემად ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებულ გაურკვეველობას ასახელებს (22%). გარდა ამისა, ფლავისმან-ბერშუეთი მეორეა ატოც-დირბის შემდეგ, სადაც დაკავების ყველაზე მეტი შემთხვევა მოხდა (15%). შემაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, გამყოფი ხაზის მიღმა ვაჭრობის ხელშეწყობასა და ბუნებრივი აირის მიწოდების გაუმჯობესებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეარბილოს ადგილობრივი პრობლემების სიმწვავე.

## წითელუბან- ლამისყანა

თუ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ არის ადგილი, სადაც კონფლიქტი არ წარმოადგენს ფიზიკურ საფრთხეს, ეს წითელუბან-ლამისყანაში შემავალი თემებია. სამაგიეროდ, აქ მოსახლეობა დღითიდღე უფრო მეტად განიცდის კონფლიქტის სოციალურ-ეკონომიკური გავლენის სიმძიმეს. სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემები, მაგალითად, ცუდი გზები და ბუნებრივი აირის მიწოდების ხარვეზები, ადგილობრივი თემებისთვის მწვავე პრობლემებს წარმოადგენს. ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე მეტად სარწყავი წყლის უქონლობითაა შეწუხებული, რომელიც უმწვავეს პრობლემად დასახელდა როგორც პირად, ისე თემის დონეზე და მეორე ადგილზე ჩამოიტოვა კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის პრობლემა. განსხვავებით სხვა ჯგუფებისგან, წითელუბან-ლამისყანის გამოკითხულთა 61%-მა განაცხადა, რომ სარწყავი წყლის პრობლემას შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა და კონფლიქტის განახლება, ხოლო 91%-ის აზრით, 2012 წლის ბოლომდე მოსალოდნელია ან ძალიან მოსალოდნელია სარწყავი წყლის პრობლემების კიდევ უფრო გაუარესება.

ფლავისმან-ბერშუეთის მსგავსად, წითელუბან-ლამისყანაში შემავალი თემებისთვის გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილი რესურსები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და სწორედ ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან განიცდის გამყოფი ხაზის გასწვრივ მომხდარ ცვლილებებს. ფლავისმან-ბერშუეთისა და წითელუბან-ლამისყანის ჯგუფების რესპონდენტები ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ ახლომდებარე ტყეებიდან შეშის შეგროვების შეუძლებლობას, საძოვრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომას და მიწების დამუშავების შეუძლებლობას, როგორც ყველაზე მწვავე პრობლემებს, როგორც პირადად მათთვის, ისე მათი თემებისთვის. ამიტომ, მოულოდნელობას არ წარმოადგენს, რომ წითელუბან-ლამისყანის გამოკითხულთა 100%-ის აზრით, 2012 წლის ბოლოსთვის ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება ძალიან სავარაუდოა.

ეკონომიკური სიძნელებისა და გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილ რესურსებზე ხელმიუწვდომობით გამოწვეული იმედგაცრუების ფონზე წითელუბან-ლამისყანის მოსახლეობა უფრო კრიტიკულად არის განწყობილი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და პოლიციის მიმართ, ვიდრე სხვა თემები. შექმნილი მდგომარეობის საპასუხოდ, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს წითელუბან-ლამისყანის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, განსაკუთრებით კი - სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესებას.

## დანართი 1: მეთოდოლოგია

ეს ანგარიში 2011 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადა. თითოეული ასეთი გამოკითხვა ოჯახების გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფებში რამდენიმე განხილვისგან შედგება. მეთოდოლოგია (რომელიც ქვემოთაა განხილული) წინა კვლევის მსგავსია, რაც დროში შედარების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

თავდაპირველი მეთოდოლოგია 2010 წლის აპრილში შემუშავდა. ჩატარდა რამდენიმე ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელთა მიზანი იყო, უფრო ცხადად გაგვეგო, თუ როგორ ესმით თემებს ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „თემი“, „უსაფრთხოება“, „კონფლიქტი“. გარდა ამისა, მოგვეჩვენა თემების წახალისების გზები უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ზომების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე, თემებსა და უსაფრთხოების დამცველთა მეტი ჩართულობის მისაღწევად <sup>21</sup>.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სულ 752 რესპონდენტი ოთხი სამიზნე ჯგუფიდან (ატოც-დირბი - 11 სოფელი, 3,189 ოჯახი; ნიქოზ-მერეთი - 12 სოფელი, 3,363 ოჯახი; ფლავისმან-ბერშუეთი - 17 სოფელი, 6,164 ოჯახი და წითელბან-ლამისყანა - 16 სოფელი, 2,234 ოჯახი)<sup>22</sup>. ადგილობრივ მოსახლეობაზე კონფლიქტის შედეგების უკეთ შესაფასებლად ის თემები შეირჩა, რომლებიც უშუალოდ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ცხოვრობენ, და სადაც მკვლევარებს ჩასვლა შეეძლოთ. გამოკითხულთა 41.5% მამაკაცი გახლდათ, 58.5% - ქალი. ყველა გამოკითხულის ასაკი 18 წელს აღემატებოდა.

რაოდენობრივი კვლევის გარდა, 2011 წლის დეკემბერს მოეწყო ოთხი განხილვა ფოკუს-ჯგუფებში ოთხ არჩეულ სოფელში - თითოეული სოფელი ოთხივე ჯგუფიდან. თითოეული ფოკუს-ჯგუფისთვის შეირჩა ათი მონაწილე შემდეგი სოფლებიდან: დვანი (ატოც-დირბის ჯგუფი), ქერე (ნიქოზ-მერეთის ჯგუფი), კირბალი (ფლავისმან-ბერშუეთის ჯგუფი) და ლამისყანა (წითელბან-ლამისყანის ჯგუფი). ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული შედეგების გადამოწმება, ძირეულ პრობლემებზე ჩაღრმავება და მეტი დეტალების მოძიება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც განმარტებას მოითხოვდა.

ოჯახების გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფის განხილვები ოთხი ძირითადი კითხვის გარშემო წარიმართა: 1) თემებისთვის საარსებო საშუალებები, აგრეთვე, როგორ პასუხობენ მათთან დაკავშირებულ პრობლემებს თემები, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებები; 2) უსაფრთხოების დამცველების რეაგირება ადგილობრივ საჭიროებებზე; 3) დაძაბულობის ზრდის პოტენციალის აღქმა და 4) ზომები რწმენისა და ნდობის აღსადგენად ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან.

იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მონაწილეთა ანონიმურობა, CRRC-სა და უსაფრთხო მსოფლიოს გადანყვეტილებით შერჩეული სოფლების სახელები არ სახელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თემების ძალიან მცირე ზომების გამო ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია მონაწილეთა საინდენტიფიკაციოდ შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს. ფოკუს-ჯგუფების დროს მოდერატორი კითხვებს წინასწარ შემუშავებული გეგმით სვამდა. ეს იყო ოთხი მთავარი კითხვა და რამდენიმე დამატებითი შეკითხვა. მოდერატორი დებატების სტიმულირების და დისკუსიის კალაპოტში დასაბრუნებლად ჩაძიების ტექნიკას მიმართავდა.

სრული ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ და მონაცემთა ბაზა მოცემულია CRRC-ს ვებ-გვერდზე. [<http://crrccenters.org/>].

21 მალტ ვიფფუსი და დევიდ ვუდი, *ცხოვრება გამყოფი ხაზის სიახლოვეს: შიდა ქართლის თემების უსაფრთხოება*, <http://www.saferworld.org.uk/smartweb/resources/view-resource/482> მარტი 14, 2012).

22 წითელბან-ლამისყანაში ოჯახების რაოდენობა რეგისტრირებული ამომრჩევლების მიხედვით დადგინდა, ხოლო თითო ოჯახზე სრულწლოვანი წევრის საშუალო რაოდენობა ამ კონკრეტულ არეალში უსაფრთხო მსოფლიოს წინა კვლევიდან იქნა აღებული.



დაიბეჭდა შპს „ფავეორიტი პრინტი“

უსაფრთხო მსოფლიოს მუშაობის მთავარი მიმართულებებია ძალადობრივი კონფლიქტის თავიდან აცილება და უსაფრთხოებისადმი ერთობლივი მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა. ორგანიზაცია თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რათა ადვოკატირების, კვლევებისა და პოლიტიკის შემუშავებით, და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის მეშვეობით ხელი შეუწყოს უსაფრთხოებისადმი ქმედითუნარიანი პოლიტიკის განვითარებას.

**სურათი ყდაჯა:** სოფელ ერგნეთის მცხოვრები შეშით. იანვარი, 2012.  
© ნათია ნადირაძე



ანგარიში დაფინანსებულია ევროკავშირის ნდობის აღდგენის ადრეული რეაგირების მექანიზმის (COBERM) ფარგლებში, რომელსაც გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ უსაფრთხო მსოფლიო. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ან გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციას.



Saferworld  
The Grayston Centre  
28 Charles Square  
London N1 6HT, UK

ტელ: +44 (0)20 7324 4646  
ფაქსი: +44 (0)20 7324 4647  
ელ-ფოსტა: [general@saferworld.org.uk](mailto:general@saferworld.org.uk)  
ვებ-გვერდი: [www.saferworld.org.uk](http://www.saferworld.org.uk)

Registered charity no. 1043843  
A company limited by guarantee no. 3015948

ISBN 978-1-904833-84-0